გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

60 თვეთრი

№111 (1137) 4 - 5 ნოემბერი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

საკონსტიტუციო სასამართლოს განაჩენის მოლოდინში

გვ. 2

რატომ გაგრძელდა „რუსთავი 2“-ის საქმე გიორგი პაპუაშვილის უწყებაში

„არანაირი სისხლისღვრა და გადატრიალება არ იქნება“

ვინ ცდილობს ხალხზე ზემოქმედებას კადრებითა თუ ჩანაწერებით და 2016 წლის არჩევნების რა შედეგით დასრულებას ვარაუდობს

ზურაბ ბიგვავა

გვ. 3

ქურდობა სასიდედროს ვალისთვის

გვ. 6

პატიმრის დღიური

როგორ „დაუფასა“ ამაგი პატიმარ სანტექნიკოსს შეყვარებულის ოჯახმა

არშემდგარი შეთქმულებების ქრონიკა

გვ. 4-5

რატომ ვერ დაიჭერს „ოცნება“ გადატრიალებაში ეჭვმიტანილ ნაციონალებს და რატომ იყენებს ყველა ხელისუფლება ოპოზიციის წინააღმდეგ 315-ე მუხლს

რამდენი არხი მაუწყებლობს საქართველოში, ცნობილია თუ არა მათი მფლობელები და ვინ აკონტროლებს მათ

კახა ბექაური: „ხელისუფლებას რომელიმე არხის დასახურად საკანონმდებლო ბერკეტი არ გააჩნია“

გვ. 7

„არ უნდა იფიქროთ, რომ სტიქიის მერე ზოოპარკში საინტერესო და სანახავი აღარაფერია“

რა მისიით ჩამოვიდა საქართველოში ჰოლანდიის, ბელგიის, გერმანიის, ინგლისისა და ისრაელის ზოოპარკების დიზაინერი

ერიკ ფონ ფლიტი

გვ. 9

საკონსტიტუციო სასამართლოს განაჩენის მოლოდინში

რატომ გაგრძელდა „რუსთავი 2“-ის საქმე გიორგი პაპუაშვილის უწყებაში

ლაშა დვალი

შეიძლება ითქვას, მიმდინარე წლის ყველაზე ხმაურიანი პროცესი დასრულდა. თბილისის საქალაქო სასამართლომ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის საქმეზე გადაწყვეტილება გამოაცხადა. მოსამართლე თამაზ ურთმელიძის გადაწყვეტილებით, ქიბარ ხალვაშის სარჩელის ერთ-ერთი მოთხოვნა, ტელეკომპანიის წილების დაბრუნების თაობაზე, დაკმაყოფილდა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის წილების 60% ბიზნესმენ ქიბარ ხალვაშს, 40% კი მის საკუთრებაში არსებულ შპს „პანორამას“ დაუბრუნდება. პარალელურად, მოსამართლემ არ დააკმაყოფილა მოთხოვნა არხის საავტორო უფლებების დაბრუნებისა და ზიანის ანაზღაურების თაობაზე. ხალვაში ზიანის ანაზღაურების მიზნით 18 მილიონ დოლარს ითხოვდა. ერთი შეხედვით, წაგებულმა მხარემ განაჩენი სააპელაციო სასამართლოში უნდა გაასაჩივროს და თუ იქაც ვერ მოიგებს პროცესს, შემდეგ უზენაეს სასამართლოს მიმართოს, მაგრამ არა — „რუსთავი 2“-ის მფლობელებმა, შეიძლება ითქვას, კრეატივი გამოიჩინეს და პირდაპირ საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართეს. სარჩელით, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლომ წარმოებაში მიიღო, ადვოკატები უწყებას სთხოვენ, რომ არაკონსტიტუციურად სცნოს შემდეგი ნორმები: სამოქალაქო კოდექსის 54-ე და 55-ე მუხლები.

54-ე მუხლში ნათქვამია, რომ ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს, ხოლო 55-ე მუხლში წერია, რომ ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია ერთი მხარის მიერ მეორეზე გავლენის ბოროტად გამოყენებით, როცა მათი ურთიერთობა დაფუძნებულია განსაკუთრებულ ნდობაზე. ამ ამბავში ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ეს სწორედ ის მუხლებია, რომლებზე დაყრდნობითაც ხალვაში ითხოვდა ტელეკომპანიის წილების დაბრუნებას, რაც თბილისის საქალაქო სასამართლომ დაუკმაყოფილა კიდეც. მარტივად გეტყვით — თუ საკონსტიტუციომ სარჩელი ამ ნორმების დროებითი შეჩერების გადაწყვეტილება მიიღო, მაშინ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება აზრს კარგავს იმიტომ, რომ ის მუხლები, რომლებზეც დაყრდნობით მომზადდა ხალვაშის სარჩელი, დროებით შეჩერდება.

როგორია?! ახლა ყველას ის გაახსენდება, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილი ნაციონალური მოძრაობის მიერ მიყვანილი და ხელდასხმულია აღნიშნულ თანამდებობაზე, ისიც გაახსენდებათ, რომ სულ ცოტა ხნის წინ, პაპუაშვილმა მოსამართლე მერაბ ტურავას საავადმყოფოში მიაკითხა და განაჩენზე ხელმოწერას იქ აიძულებდა. ის, რა სცენარს ავითარებს და როგორ ხედავს ტელეკომპანიის დაცვის პერსპექტივას ნაციონალების ლიდერი უკრაინიდან, ყველამ ერთად ვნახეთ. ამიტომ, არ არის გამორიცხული, საკონსტიტუციო სასამართლომ ეს სარჩელი დააკმაყოფილოს და...

...საინტერესოა, რას ფიქრობენ ამასთან დაკავშირებით პროფესიონალები.

„როდესაც წინასწარ ხდება ნორმის შეჩერება საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანისთანავე, ეს გვაფიქრებინებს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო იზიარებს მოსარჩელეთა დასაბუთებას, წინააღმდეგ შემთხვევაში უფრო ნეიტრალურ პოზიციას დაიჭერდა და გასაჩივრებულ ნორმას შეაჩერებდა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. ამ შემთხვევაში იკვეთება, რომ საკონსტიტუციო სასამართლო მეტნაკლებად მიმხრობილია მოსარჩელეების მიმართ. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ძალიან სწრაფად მიმდინარეობს ეს პროცესები, მაშინ როცა სხვა საქმეები დიდხანს განიხილება ხოლმე. უნდა ვივარაუდოთ, რომ „რუსთავი 2“ საკონსტიტუციო სასამართლოსთან შეთანხმებით მოქმედებს. თუმცა მიუხედავად იმისა, რომ 268-ე მუხლის მოქმედება შეჩერებულია და შეიძლება სასამართლომ ის ანტიკონსტიტუციურად გამოაცხადოს, ეს არ ნიშნავს, რომ საბოლოოდ ქიბარ ხალვაში ვერ დაიბრუნებს საკუთრების უფლებას, თუ კი მას ამისი სამართლებრივი საფუძველი გააჩნია და ხელისუფლებასაც ეს აწყობს. სხვა საკითხია, რისთვის უნდა დროის მოგება „რუსთავი 2“-ის ხელმძღვანელობას, რაში სჭირდებათ დროის გადაწევა და ამ დროის გამოყენება, საკითხავი სწორედ ეს არის. ეს კითხვა უკავშირდება იმ შეთქმულებას და გადატრიალების შესახებ ე.წ. საუბრებს, ამიტომ მთლიანობაში თუ შევხედავთ, სამართლებრივი საშუალებების გამოყენება ბინძური მიზნების მისაღწევად ძალიან საშიშია ხოლმე და კიდევ ერთ ძალიან მახინჯ ტენდენციას უდებს საქართველოში საფუძველს. აქამდე უფლებადამცველები საკონსტიტუციო სასამართლოს ვიყენებდით ადამიანის უფლებების დასაცავად და დასამკვიდრებლად და არა იმისთვის, რომ ვინმემ სახელმწიფო გადატრიალება მოასწროს და მერე ეს განახორციელოს კიდეც“, — ეს განცხადება ადვოკატმა **ლია მუხაშავრიამ** გააკეთა და ძნელია, არ დაეთანხმო.

აღნიშნული გადაწყვეტილებით, საკონსტიტუციო სასამართლო პირველ რიგში იმას დაამტკიცებს, რომ კონკრეტულად ერთ პარტიას ემსახურება და საკონსტიტუციო კი არა, ნაციონალური სასამართლო უნდა ერქვას და მეორეც — თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებიდან რამდენიმე წუთში ანალოგიური სარჩელის მიღება ღია დაფიქსირებაა, რას ფიქრობს სასამართლოს თავმჯდომარე. ყველაზე საინტერესო კი ამ ამბავში ის არის, რომ აღნიშნული მუხლების შეჩერება არამარტო ქიბარ ხალვაშსა და მის სარჩელზე, არამედ მთლიანად, ამ წუთისთვის სასამართლოებში ამ მუხლით არსებულ სარჩელებზე იმოქმედებს და ვერავინ მიხვდება, ვისი სარჩელი ვის ბრალდებაშია. მეტიც — ადამიანებს, რომლებსაც ამ მუხლებით უკვე შეფარდებული აქვთ გარკვეული სასჯელები, მუხლების შეჩერების შემდეგ რა ბედი ელით, ვინმემ იცის?! აბსოლუტურად ყველა ხომ გამართლებას ან აღსრულების შეჩერებას მოითხოვს?!

„კანონსაწინააღმდეგო, ამორალური გარიგების საკანონმდებლო ნორმაზე დაყრდნობით უამრავი სარჩელია საქართველოს საერთო სასამართლოებში, ზოგი განხილვის სტადიაში, ზოგიერთზე კი გადაწყვეტილება გამოსულია უკვე და გასაჩივრებულია სხვადასხვა ინსტანციაში. ამ მუხლის შეჩერება იქნება მნიშვნელოვანი კოლაფსი მთლიანად მართლმსაჯულების სისტემისთვის, იმიტომ, რომ უამრავი სარჩელია ამ მუხლზე დაფუძნებული სხვადასხვა გარემოებით, სხვადასხვა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს შორის“. აღნიშნული მუხლი ევროპის თითქმის ყველა განვითარებული ქვეყნის კანონმდებლობაში არსებობს, თუმცა, ბოლო მოვლენებიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პროგნოზირება შეუძლებელი ხდება. ამავდროულად, ჩემთვის წარმოუდგენელია, როგორ შეიძლება კანონსაწინააღმდეგო, ამორალური იყოს გარიგება და მისი ბათილად ცნობის საკანონმდებლო ნორმა არ არსებობდეს“, — ეს განცხადება ადვოკატმა **დავით ასათიანმა** გააკეთა.

საკონსტიტუციო სასამართლოს აბსოლუტური უმრავლესობა წინა ხელისუფლებასთან ვალშია და ნაციონალური მოძრაობის წევრები არც მალავენ, რომ სწორედ ამ სასამართლოს იმედი აქვთ მომავალში. მათი „მომავალი“ კი უკვე დადგა და ნურც ის გაგიკვირდებათ, თუ საკონსტიტუციო სასამართლო რეკორდულ ვადებში მოახდენს სარჩელის განხილვასაც და გადაწყვეტილებასაც სასწრაფო წესით გამოაცხადებს.

ეროვნული ბანკი 20, 50 და 100-ლარიან ბანკნოტებს ანახლებს

ეროვნული ბანკის პრეზიდენტ გიორგი ქადაგიძის განცხადებით, განახლებული ბანკნოტები 2016 წლიდან გამოვა და მიმოქცევაში იქნება წინა ემისიების ბანკნოტებთან ერთად. როგორც სასტუმრო „რუმს თბილისში“ გამართულ პრეზენტაციაზე ქადაგიძემ განაცხადა, განახლებული 20, 50 და 100 ლარის ნომინალის ბანკნოტები ეტაპობრივად გამოვა.

„ეს არის ლარის 20-წლიანი ისტორიის მანძილზე ბანკნოტების დიზაინის პირველი მნიშვნელოვანი განახლება. ეს პროექტი აერთიანებს ფულის ნიშნების წარმოებასთან დაკავშირებულ რამდენიმე მნიშვნელოვან თარიღს, მოვლენას და ფაქტორს. პირველი — როგორც მოგეხსენებათ, 2015 წელი ეროვნული ვალუტის საიუბილეო თარიღია. ეს იყო ახალი ეპოქა ფულის ისტორიაში. შესაბამისად, სიმბოლურად, დიზაინის მნიშვნელოვანი განახლებაც ამ თარიღს დავამთხვიეთ. მეორე — მოგეხსენებათ, ეროვნული ბანკი პერიოდულად ავსებს ფულის ნიშნის მარაგებს, რითაც ანაცვლებს მიმოქცევაში არსებულ უკვე გაცვეთილ და დაზიანებულ ფულის ნიშნებს ახალი ბანკნოტებით. მოცემული პერიოდისთვის, ეროვნულ ბანკს მარაგების შევსება უწევდა. შესაბამისად, ეს იყო საუკეთესო დრო, ვინაიდან პროცესი არ მოითხოვდა დამატებით ფინანსურ რესურსს. მესამე — ეს არის საერთაშორისო პრაქტიკა და ტექნოლოგიური პროგრესი — თავის დროზე, ლარის ბანკნოტები საკმაოდ მაღალი სტანდარტების შესაბამისი იყო და პასუხობდა საერთაშორისო მოთხოვნებს. წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად დაიხვეწა ბეჭდვის პროცესი, შეიქმნა ძლიერი დამცავი ნიშნები. ახალი ტენდენციებია დიზაინის კუთხითაც. სწორედ ამიტომ, მივიღეთ გადაწყვეტილება, გვქონოდა განახლებული დიზაინის ფულის ნიშანი, რომელიც თავის ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს მსოფლიო ვალუტებს შორის“, — განაცხადა ქადაგიძემ.

მისი თქმით, განახლებული დიზაინი კიდევ უფრო მეტი სიზუსტით და თანამედროვე იერსახით წარმოაჩენს საქართველოს მნიშვნელოვან, კულტურულ-ისტორიულ მემკვიდრეობას.

„ლარის განსხვავებულ ბანკნოტებს ახასიათებს მკვეთრად გამორჩეული ფერების სპექტრი, რომელიც ჰარმონიულად არის შეხამებული ძირითადი სიუჟეტების დომინანტურ და კონტრასტულ ფერებთან. განახლდა ლარის ბანკნოტის ზომებიც. გამოყენებულია ნომინალების მიხედვით ბანკნოტების ზომების დიაგონალური სიმეტრიული ზრდის პრინციპი. ლარის განახლებული ბანკნოტები დაცულია მომხმარებლისთვის მარტივად აღქმადი და ამავე დროს, თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური პროცესის შედეგად მიღებული დამცავი ნიშნებით. მათ შორის, დატანილია ნომინალის ამომცნობი ნიშანი, სუსტი მხედველობის მქონე პირთათვის. ლარის განახლებული ბანკნოტები დამზადებულია ისეთი მასალებისა და დამცავი მექანიზმების გამოყენებით, რომელიც ზრდის მიმოქცევაში მათ მდგომარეობას დაბინძურებისა და ბუნებრივი ცვეთისგან“, — განაცხადა ქადაგიძემ.

ცნობისთვის, განახლებული 20, 50 და 100 ლარის ბანკნოტების ავტორი ბაჩანა მალაზონიაა.

„პია“

ვლადიმერ გურგენიძე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან გაათავისუფლეს

ვლადიმერ გურგენიძე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის თანამდებობას აღარ იკავებს. პრემიერ-მინისტრის შესაბამისი ბრძანების თანახმად, ის პოსტიდან 23 ოქტომბერს გაათავისუფლეს.

ჯერჯერობით უცნობია, რა გახდა გურგენიძის თანამდებობიდან გათავისუფლების მიზეზი.

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ბრძანების შესაბამისად, ის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის პოსტს 23 ოქტომბრიდან აღარ იკავებს.

„პია“

„ხალხის დიდი ნაწილი არ ფიქრობს, რომ „რუსთავი 2“ მისი დასაცავია — არანაირი სისხლისღვრა და გადატრიალება არ იქნება“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

ვინ და როგორ ცდილობს ხალხზე ზემოქმედებას კადრებითა თუ ჩანაწერებით და 2016 წლის არჩევნების რა შედეგით დასრულებას ვარაუდობს **ზურაბ ბიგვავა**

საზოგადოებაზე ტელევიზიიდან თუ პოლიტიკური ტრიბუნებიდან ფსიქოლოგიური ზეწოლა პიარტექნოლოგიის ნაწილი რომაა, ყველასთვის ცნობილია. დაძაბულ ფონს, რომელსაც ზოგიერთი ექსპერტი და პოლიტიკოსი წინასაარჩევნო აგონიასაც უწოდებს, პერმანენტულად, ოპოზიციის ლიდერთა ფარული ჩანაწერები, ან წამების კადრები „ალამაზებს“. კვლავ დაძაბული რჩება „რუსთავი 2“-ის გარშემო მიმდინარე პროცესი და ამასობაში, ახალ საპარლამენტო არჩევნებსაც ვუახლოვდებით. ამ დროს, შუალედური არჩევნები ორ რაიონში გარკვეული დარღვევებით, მაგრამ „ოცნების“ კანდიდატების გამარჯვებით უკვე შედგა და ამ ფაქტის სწორმა ანალიზმა, შესაძლოა, 2016 წლის არჩევნების მიახლოებით შედეგზეც მიგვანიშნოს. ვითარების ანალიზი კი წარსულში, „ოცნების“ მრჩეველთა საბჭოს ერთ-ერთ წევრს, ფსიქოლოგ ზურაბ ბიგვავას ვთხოვეთ, რომელიც „ვერსიისთვის“ საინტერესო შეფასებებს აკეთებს.

— ბატონო ზურაბ, ბოლო დროს ხშირად გვესმის შეფასებები, რომ პოლიტიკური ძალები წინასაარჩევნო აგონიაში არიან — ხელისუფლება რეიტინგის, ოპოზიცია კი ხელისუფლებაში მობრუნების შანსის დაკარგვის გამო. მოვლენებს თქვენც ასე აფასებთ?

— ადრე პოლიტიკაში ბევრი ექიმი იყო და ეტყობა, ახლაც შემორჩა ვიღაც, ვისაც პროფესიული ტერმინების ნოსტალგია აქვს. აგონია სიკვდილისწინა შიშის მდგომარეობაა, ახლა კი იმის ნიშანი არ არის. თუმცა ზოგადად, ნიჰილიზმი დღევანდელი პოლიტიკური ლანდშაფტის ყველაზე გამოკვეთილი მახასიათებელია, მაგრამ ასე ბევრ ქვეყანაში ხდება. რეიტინგის დაკარგვას რაც შეეხება, ევროპაში 35%-იანი, გამარჯვებული ძალა მთავრობას აკომპლექტებს და ეს სრულიად ნორმალურია. პირიქით, საზოგადოება ნელ-ნელა ახალ საარჩევნო კალაპოტში ჩადგება და არც ჭარბი ნდობა ექნება რომელიმე ძალის მიმართ, არც ჭარბი მტრობა. მგონი, ეს აგონიური კი არა, ჯანსაღი პროცესია. ასე რომ, რეალურად, არც სიკვდილის აჩრდილი დადის ქვეყანაში და არც წინასასიკვდილო აგონიაა. არის პოლიტიკა, არიან პოლიტიკური სუბიექტები და მიდის პროცესი.

— არის წამებისა და გაუპატიურების კადრები, რომელთაც დიდ ეკრანებზე ვუყურებთ, არის მუქარა „ბოევიკებისა“ და სისხლისღვრის შესახებ, წამყვან ტელევიზიაში არსებული დაძაბულობა და ა.შ. თქვენ ეს მეთოდები მოგწონთ პოლიტიკაში, ან ვინ რას მოიგებს ამ ვითარებაში?

— რაც ჩამოთვალეთ, ეს გარკვეული ტრადიციაა: ჩანაწერების ჩვენება, კომპრომატების გამოყენება, პირადი სივრცის დარღვევა და ა.შ. ჩვენს პოლიტიკაში ეს ამაზრზენი მეთოდები ხშირად გამოიყენება, თუმცა დარწმუნებული ვარ, ავადმყოფების გარდა, ამის კეთება არავის ეხალისება. დიახ, ესეც პოლიტიკური ხერხია და, ალბათ, ოპონენტის მოქმედებაზე საპასუხო რეაქცია. პიარის ტექნოლოგიები ასეთ მეთოდებსაც მოიცავს, მაგრამ ეს უაღრესად არაეთიკურია. ნებისმიერ შემთხვევაში, ხალხი ამისგან არაფერს იღებს და იგებს. ასეთი კადრები ადამიანის ემოციებზე მუშაობს. სამი კომპონენტი არსებობს, რაზეც ზემოქმედება შეიძლება: ემოციაზე, ქცევასა და შემეცნებაზე. ყველაზე ეფექტური შემთხვევაა, როცა ემოციას ურტყამენ და იდება ინტიმთან, პირად ცხოვრებასთან, წამებასთან, სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებული კადრები. ეს ყველაფერი ღრმა ემოციურ სფეროებს ეხება.

— და რა არის ადამიანების ღრმა ემოციურ სფეროზე ზემოქმედების მიზანი, ან არსებობს თუ არა ფეთქებადსაშიში ვითარების შექმნის საფრთხე?

— როცა რაღაც კადრი კონკრეტულ ადამიანს, ან მის პირად უსაფრთხოებას ეხება, მაშინ შესაძლოა, ზემოქმედებაც მეტი იყოს. თუმცა აქ ყველაზე მნიშვნელოვანი ხალხის სიმრავლეა და ამ შემთხვევაში, ადამიანების გაღიზიანება ამ კადრების ავტორებისა და ორგანიზატორების წინააღმდეგ იყო მიმართული. იყო საუბარი, რომ კონსტიტუციურ წესრიგს საფრთხე ემუქრება და ა.შ. მაგრამ მსგავსი განცხადებებიც გადაჭარბებულად მიმაჩნია.

— ახლა პრეზიდენტის გამოსვლაზე ვსაუბრობთ. მის და მანამდე, პრემიერის გამოსვლას როგორ აფასებთ ასეთ დაძაბულ ვითარებაში?

— ვფიქრობ, პრეზიდენტსაც და პრემიერსაც ემოციური გამოსვლები ჰქონდათ. როგორც ჩანს, ემოციები ვერ მოთოკეს. ასეა საზოგადოებაც — უარყოფით ემოციას ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოხატავს. ქუჩაში წვიმის დროს რომ გაიაროთ, ნახავთ, ხალხი ამასაც მთავრობას აბრალებს. ამიტომ აქვს ამ საჯარო განცხადებებს დიდი მნიშვნელობა, თორემ სახლში ვინ რას ამბობს და ვინ იგინება, ამას არავინ განიხილავს. ვფიქრობ, პრეზიდენტს კეთილშობილური მიზნები ამოძრავებდა, როცა გამოვიდა და თქვა, რომ კონსტიტუციურ წესრიგს ემუქრება საფრთხე და ხვალ შეიძლება ქვეყანა დაინგრეს. რეალურად, კი ამით საფრთხის შეგრძნება და მნიშვნელობა გაიზარდა, საჩოთირო ვითარება შეიქმნა.

— თუმცა, ამ განცხადებიდან სამ დღეში მართლაც აღიძრა საქმე 315-ე მუხლით, რაც ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულებას გულისხმობს. ე.ი. იყო რაღაც საფრთხე და ახლაც არის.

— ეს სულ სხვა რამაა. შეთქმულება კონსტიტუციური წესრიგის დარღვევა, ან გადატრიალება არ არის და ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ამ გეგმაში ხალხის მასებია ჩართული. მეტიც, ვნახეთ, რომ როგორც კი ფარული აუდიოჩანაწერები გამოქვეყნდა, ნიკა გვარამიამ მაშინვე თქვა, ხომ ხედავთ, ექსპრეზიდენტს არ ვემორჩილები, არც ბარიკადებს ვაშენებ არხის გარშემოო. ასე მარტივად ეს ამბები არ კეთდება.

— ეს „შეთქმულებაც“ ჩვენს შიშსა და ემოციებზე თამაშია, როგორც ნაციონალების დროს იყო?

— შეთქმულება ყოველთვის შეიძლება არსებობდეს. შეიძლება, მე და თქვენ დავსხდეთ და ვილაპარაკოთ, მოდი, ხელისუფლების გადატრიალება მოვაწყოთო, მაგრამ ეს საზოგადოებისთვის საფრთხისმომტანი იქნება? ან თუნდაც, ჩვენთან ერთად ამაზე კიდევ 50-მა ნაცნობმა რომ ილაპარაკოს, ეს საზოგადოებრივ საფრთხეს ნიშნავს?! ბუნტებისა და რევოლუციების კეთება ასე მარტივი არ არის. 90-იან წლებში, სამოქალაქო ომი, რეალურად, 100-100 კაცს შორის მიმდინარეობდა, მეზობელ ქუჩებზე კი ხალხი რესტორნებში იჯდა. ამიტომ ასე ერთი ხელის მოსმით რევოლუციები არ კეთდება. ხალხში რევოლუციური მუხტი არ არის. არიან გარკვეული ძალები, რომლებიც ფართო მასების დამუხტვას ცდილობენ, მაგრამ არაფერი გამოსდით. თანაც, წინასწარ ხდება მოსინჯვა, რამდენი ადამიანი ჩაერთვება, ვინ აყვება მსგავს მოწოდებებს და ვინ არა და ა.შ. ნაციონალები ნამყოფები არიან ხელისუფლებაში და ამ მეთოდებს კარგად იცნობენ. მოსინჯეს, რა განწყობაა ქვეყანაში, გაყვება თუ არა ხალხი ამ რადიკალიზმში და მათი იმედი, რომ საზოგადოებრივ მღელვარებას გამოიწვევდნენ და ქვეყნის შიგნით დაპირისპირებას მოაწყობდნენ, არ გამართლდა. აღმოჩნდა, რომ ხალხი ვერ მოაგროვეს. რეალურად, იმ ჩანაწერებშიც სწორედ ხალხის რაოდენობის მოგროვებაზე იყო საუბარი, კუნთმაგარი, იარაღიანი ადამიანების გამოყვანაზე, თუმცა ნახეს, რომ როგორც მათ სურთ, ისე არ გამოვა — დღეს ხალხის დიდი ნაწილი არ ფიქრობს, რომ „რუსთავი 2“ მისი დასაცავია.

— მაგრამ „რუსთავი 2“-ის ყველაზე რეიტინგული ტელევიზია რომაა, ეს უდავოა, ამაზე ციფრები მეტყველებს. გადის თუ არა ამ თემაზე საზოგადოებრივი მღელვარების წითელი ხაზი?

— დღეს იქნება თუ ხვალ, ამ არხზე რაღაც შეიცვლება. ნახეთ, რა პროცესი მიდის: ორი დღის წინ გამოჩნდნენ რეალური მფლობელები, ყარამანაშვილები და განცხადება გააკეთეს. მანამდე კი აბსურდული ვითარება იყო. აქეთ ხალვაში ედავებოდა „რუსთავი 2“-ს, მაგრამ მფლობელებს და არა ნიკა გვარამიას. ეს მფლობელები კი ხმას არ იღებდნენ. სამაგიეროდ, მათ ნაცვლად საუბრობდნენ გვარამია, ჟურნალისტები, ადვოკატები და ნაციონალური მოძრაობა. ამ დროს, კი, „ოცნებას“ ძალიან კომფორტული პოზიცია ჰქონდა — ამბობდა, „რუსთავი 2“-ის ერთ და მეორე მფლობელს შორის დავა მიდის და არც ერთის საქმეში არ ვერევიო. დარწმუნებული ვარ, „ოცნებას“ ამ არხის სარედაქციო პოლიტიკა და მენეჯმენტი არ მოსწონს. არც ქიბარ ხალვაშის გამარჯვების შემთხვევაში მოიკლავს თავს, მაგრამ ამხელა აჟიოტაჟი ამ თემაზე მაინც წაქეზებული პროცესია. ასე რომ, „რუსთავი 2“-ზე საზოგადოებრივი მღელვარების წითელი ხაზი არავითარ შემთხვევაში არ გადის. ეს ხაზი გადის ეკონომიკურ მდგომარეობაზე და ესაა რეალურად მნიშვნელოვანი საკითხი. ახლა შეიძლება, ვიღაცას გაეცინოს, მაგრამ ეს ხელისუფლება ყველაზე დემოკრატიული აღმოჩნდა. წარმოიდგინეთ, როგორ მოიქცეოდა მიხეილ სააკაშვილი ამ ვითარებაში?!

— ალბათ, „რუსთავი 2-“ის საქმე საკონსტიტუციო სასამართლომდე საერთოდ არ მივიდოდა, ასეა?

— რა თქმა უნდა, გამორიცხულია, საქმე აქამდე მისულიყო. მეტიც, არათუ სარჩელი არ წავიდოდა საკონსტიტუციოში, არამედ, რაღაც ფორმით, გიორგი პაპუაშვილსაც გააქრობდა საკონსტიტუციო სასამართლოდან. ყველა მწვავე პრობლემას უცებ გადაჭრიდა, ზედმეტი მიეთ-მოეთის გარეშე. ამიტომაც ეუბნებიან ახლა „ოცნებას“, უუნარო ხარო. ჰოდა, სააკაშვილი იყო უნარიანი! სწორედ იმ კადრებით იყო სააკაშვილი უნარიანი, რასაც ახლა ატრიალებენ და რაც არავის მოგვწონს. ამ ხელისუფლებამაც იგივე რომ აკეთოს და მსგავსი საზიზღარი მეთოდებით მიიღონ აღიარებითი ჩვენებები, ყველა საქმეს უცებ გამოიძიებენ, მაგრამ გვინდა ეს?!

— ისე, რომელია სჯობს: უუნარო, უნიათო, არაპროფესიონალი და ოპოზიციაში ჩარჩენილი „ოცნება“ თუ „ნაციონალური უნარები“?

— პასუხი თავად კითხვაშია. მირჩევნია, მთავრობა უნიათო იყოს და ადამიანები არ დაიჩაგრონ, უსამართლოდ არ დაიჭირონ, არ დაისაჯონ და მუდმივ შიშში არ იცხოვრონ. დღეს სწორედ ასეთი გარემოა — როგორც ამბობენ, შიში გატყდა და ეს შუალედურ არჩევნებზეც გამოჩნდა.

— კი მაგრამ, როდის გინახავთ საარჩევნო უბნებზე ჩამომსხდარი თავდაცვის მინისტრი და პარლამენტის თავმჯდომარე, ან ის რა იყო, საგარეჯოში, ჯარისკაცების აღრიცხულ რაოდენობაზე 2-ით მეტი ხმა რომ მიიღო სამხედროებისგან „ოცნების“ კანდიდატმა?

— პირველ რიგში, ის გამოჩნდა, რომ სახელისუფლო და ოპოზიციურმა კანდიდატებმა დაახლოებით მსგავსი შედეგები დადეს, რაც ნიშნავს, რომ ადამიანებს არჩევანის გაკეთება უკვე სამსახურიდან გაყრის შიშის გარეშე შეუძლიათ. ყველა დეტალი არ ვიცი, მაგრამ ვიცი ის, რაც თინა ხიდაშელმა თქვა: ჯარისკაცების იქ ჩასვლა და ბაზაზე განლაგება არჩევნებამდე ბევრად ადრე იყო დაგეგმილი. მოგვწონს თუ არა ხიდაშელი, ან მისი გამოხედვა და ჩაცმულობა, ის პასუხისმგებლიანი პოლიტიკოსია და ამ ვითარებაში, როცა მარტივად შეიძლება გადამოწმება, ტყუილს არ იტყვის. დიახ, როცა იქ თავდაცვის მინისტრიც იმყოფება, დიდი ალბათობით, შესაძლოა, ჯარისკაცებმა მის კანდიდატს ხმა პატივისცემის ნიშნად მისცეს, მაგრამ არა შიშის გამო. ამ დროს, ირმა ინაშვილი რომელიღაც ოპოზიციური პარტიის ლიდერია და დაახლოებით იგივე რაოდენობის ხმები აიღო. ეს ბევრ რამეზე მეტყველებს. ინაშვილისა და თარხან-მოურავის პარტიას, თუკი რაიმე ადამიანური და ფინანსური რესურსი ჰქონდა, ყველაფერი ამ ერთ რაიონს დაახარჯეს. ეს რესურსი, რა თქმა უნდა, მთელ საქართველოს ვერ გასწვდება, თუმცა ფაქტია, გარკვეული მხარდაჭერაც მოიპოვეს მოსახლეობაში და ამის ახსნაც მარტივია: მათი მხრიდან რადიკალური მოწოდებები ისმის, „ოცნების“ რიგებს კი სწორედ მისი შედარებით რადიკალი მხარდამჭერები აკლდება. ეს ხალხი სწორედ ინაშვილთან წავა და არავითარ შემთხვევაში ნაციონალებთან.

— როგორ ფიქრობთ, ადგილობრივი არჩევნები ლოკალური პრობლემებითა და შედეგებით, არის თუ რა 2016 წლის არჩევნების მიკრომოდელი, ან ამ პრობლემების მასშტაბის გაზრდას თუ ელით?

— ყველანაირი არჩევნები მინახავს: ბიულეტენებით სავსე ტომრებიც მახსოვს, გალახული ხალხიც, „კარუსელებიც“ და ა.შ. 2012 წელს წესიერთან მიახლოებული არჩევნები ჩატარდა, ძალიან სუფთად ჩაიარა საპრეზიდენტო არჩევნებმა, არც ადგილობრივ არჩევნებს ჩაუვლია სერიოზული ხარვეზებით.

— თუმცა 2012-ის მერე, ყველა შემდეგ არჩევნებზე ხელისუფლების რეიტინგის მკვეთრი ვარდნა სახეზე იყო, რა იქნება 2016 წელს?

— კლების ტენდენცია ნამდვილად ჩანდა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ 2016 წელს მკვეთრი ცვლილებებია მოსალოდნელი. ვფიქრობ, 2016-შიც „ოცნება“ აიღებს ყველაზე მეტ ხმას, თუმცა ის რეიტინგი არ ექნება, რაც 2012 წელს ჰქონდა. კონკრეტულ შედეგებზე საუბარი ახლა ძნელია, მაგრამ ცალსახაა, რომ პოლიტიკური სპექტრის გარკვეული რადიკალიზაცია მოხდება. თარხან-მოურავის პარტია გავა თუ ბურჯანაძის, ძნელი სათქმელია, თუმცა პროცესების რადიკალიზება გარდაუვალია. დანარჩენ პარტიებს კი, არა მგონია, დარჩენილ ერთ წელიწადში რეიტინგის მოგროვების შანსი ჰქონდეთ. არც ის მგონია, რომ ცის კაბადონზე ახალი ძალა გამოჩნდეს და რაიმე შედეგი დადოს. თუმცა ერთი კია, იქმნება ილუზია, რომ „ოცნებას“ 13% აქვს, რაც ასე ნამდვილად არ არის. ჩემი აზრით, პირველ ადგილზე სწორედ „ოცნება“ გავა, მეორე ადგილი ჯერ ბუნდოვანია, ხოლო ნაციონალებს ბარიერის გადალახვაც გაუჭირდებათ. ამ შედეგებამდე ეს პარტია სააკაშვილმა და ამ ბოლო აუდიოჩანაწერებმა მიიყვანა. თუმცა ცოტა ხანში, წინასაარჩევნო პერიოდი დაიწყება — ანგარიშების ჩაბარების დრო დგება და ვნახოთ, რას იტყვის ხელისუფლება საკუთარ თავზე. საზოგადოება კი ამ ყველაფერს შეაფასებს და მერწმუნეთ, ობიექტურად. დარწმუნებული ვარ, არანაირი სისხლისღვრა და გადატრიალება არ იქნება!

ვერსიანიუსი

ეუთო-ს 6 ქვეყნის მუდმივი წარმომადგენლები საოკუპაციო ხაზთან არსებულ ვითარებას გაეცნენ

საქართველოში ვიზიტით მყოფმა ეუთო-ში აშშ-ს, კანადის, ლიტვის, რუმინეთისა და შვედეთის მუდმივმა წარმომადგენლებმა, წეროვანის იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტური დასახლება მოინახულეს. ელჩები ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელ პირობებს გაეცნენ. მუდმივი წარმომადგენლები ასევე იმყოფებოდნენ საოკუპაციო ხაზზე, სოფელ ხურვალეთში. მათ ადგილზე შეაფასეს რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის მიერ მავთულხლართების აღმართვის შედეგად შექმნილი მძიმე ჰუმანიტარულ ვითარება, პირადად გაესაუბრნენ საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მცხოვრებ მოსახლეობას და მათგან მიიღეს ინფორმაცია არსებული პრობლემების თაობაზე.

„პია“

არშემდგარი შეთქმულებების ქრონიკა

რატომ ვერ დაიჭერს „ოცნება“ გადატრიალებაში ეჭვმიტანილ ნაციონალებს

ნინო კომახიძე
599-95-33-16

დაძაბულობა რომელიმე ტელევიზიის გარშემო, ხელისუფლების რეიტინგის ვარდნა და წინასაარჩევნო აგონია, გააქტიურებული, რადიკალური ოპოზიცია, ქუჩის გამოსვლები, პიკეტისა და დაუმორჩილებლობის ანონსი, ფარული სატელეფონო ჩანაწერები ან მიმოწერა — თუ სახეზე ყველა ეს სიმპტომია, მაშინ ვინც უნდა იყოს ხელისუფლებაში, რომელიმე ოპოზიციონერს 315-ე მუხლით საქმის აღძვრა არ ასცდება. თავად ეს მუხლი, რომელიც საქართველოში ასე პოპულარულია, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად შეთქმულების მოწყობას გულისხმობს და სამწუხაროდ, დღემდე აქტუალურია.

უკვე ყველამ იცის, რომ ხელისუფლებამ, „რუსთავი 2“-ის გარშემო მიმდინარე სასამართლო დავების პერიოდში, საქმე 315-ე მუხლით აღძრა და ტელევიზიის გენდირექტორი ნიკა გვარამია და ნაციონალების საერთაშორისო მდივანი გიგა ბოკერია დაკითხა, ექსპრეზიდენტ სააკაშვილთან სატელეფონო საუბრის გამო. საუბრების ამ ციკლში, ბოლო დღეებში მომღერალი სოფო ნიჟარაძეც გამოჩნდა და თემურ ჯანაშიაც, რომლებიც ასევე დაიბარეს მოდულის შენობაში. რა ოპერატიულ ინფორმაციას ფლობს შს სამინისტრო და სუს-ი ამ ჩანაწერების გარდა, არც პირველ და არც ორი დღის წინ გავრცელებულ განცხადებაში დაუკონკრეტებიათ, საქმესაც „საიდუმლო“ გრიფი ადევს, თუმცა გამოძიების მთავარი ხელჩასაჭიდი რუსული სპეცსამსახურების მიერ შექმნილი უკრაინული საიტია, სადაც პირველად სააკაშვილი-ბოკერიას, შემდეგ კი სააკაშვილი-გვარამიას საუბრის ჩანაწერი დაიდო. საქმე ეხებოდა „ვიღაც ბიჭებს“, რომლებიც ყველას დაასისხლიანებენ, ოპერატორ „გაგუშას“, რომელიც ამ ყველაფერს გადაიღებდა, შვილებიან ქალს, რომელიც უნდა მომკვდარიყო და პრეზიდენტ მარგველაშვილს, როგორც ნაციონალების ერთ-ერთ მოკავშირეს. მოქმედების არეალი კი დასარბევად გამზადებული „რუსთავი 2“-ის ტერიტორია უნდა ყოფილიყო. ეს პირველი ჩანაწერი ბეჭდვური სახით გავრცელდა, იმ დღის მერე კი საიტზე ახალი აუდიოვერსიები გამოჩნდა. ვისმენთ, როგორ ურჩევს სააკაშვილი გვარამიას, „რუსთავი 2“-ის შენობა რკინის ბარიკადებით გაამაგროს და „ბოევიკებს“ დააცვევინოს. ცინცხალი ჩანაწერებიდან იმასაც ვიგებთ, რომ ამ „ბოევიკების“ გზა-კვალი და მისამართი ცნობილ „გადამტრიალებელს“, გივი თარგამაძეს სცოდნია. ჯერჯერობით ბოლო ჩანაწერში კი, როგორც აღმოჩნდა, ხალხის მობილიზებას საკუთარ თავზე კობა ხაბაზი და მისი „თავისუფალი ზონა“ აიღებენ, ფრონტის წინა ხაზზე კი ნუგზარ წიკლაურსაც ვიხილავთ. თუმცა, მსგავსი საუბრები და ჩანაწერები, უფრო სერიოზული მტკიცებულებების გარეშე, ამ მძიმე მუხლით საქმის აღძვრის საფუძველს არ იძლევა და დღეს ამაზე ქვეყანაში ბევრი თანხმდება; მეტიც — ზოგადად, 315-ე მუხლით განსაზღვრული დანაშაულის დამტკიცება ძნელია, რაშიც „ოცნება“, წესით, 1 წლის წინ უნდა დარწმუნებულიყო. ზუსტად ამ მუხლით საქმე ერთხელ უკვე აღიძრა ნაციონალების წინააღმდეგ, როცა მაშინდელი შს მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე და მისი მოადგილე, ლევან იზორია სააკაშვილის მიერ კიევსა და თურქეთში ჩატარებულ თათბირებზე საუბრობდნენ. თურმე, ექსპრეზიდენტმა 500-კაციანი მობილური ჯგუფი შექმნა, რომელსაც სტრატეგიულ ობიექტებზე გაფიცვები უნდა მოეწყო, ფინალი კი „თბილისური მაიდანი“ და თავისუფლების მოედანზე საბურავების დაწვა იქნებოდა. ამ საქმეზე არც არავინ დაუკითხავთ და არც ბრალი წაუყენებიათ ვინმესთვის, რამდენიმე თვის მერე კი პრემიერმა ღარიბაშვილმა თქვა, გამოძიება დაწყებულია და „ყველა პოტენციური დამნაშავე თუ დანაშაულის ჩამდენი დაისჯება“. ასე ეძებს „ოცნება“ „პოტენციურ დამნაშავეებსა“ და დამკვეთ-შემსრულებლებს, მაგრამ ეს ამ ხელისუფლების ექსკლუზივი როდია. სად იყო „ოცნება“, ნაციონალები 315-ე მუხლს ოპოზიციის სხვადასხვა ლიდერებს რომ უფრიალებდნენ!? მეტი თვალსაჩინოებისთვის, „ვერსია“ დაანონსებული, მაგრამ არშემდგარი შეთქმულებების ქრონოლოგიას გთავაზობთ:

შეთქმულება №1. არშემდგარი შეთქმულებების სეზონი 2006 წელს გაიხსნა, ე.წ. **იგორ გიორგაძის მომხრეების საქმით**, როცა ზუსტად 315-ე მუხლის მსხვერპლი 12 ადამიანი გახდა. ამ ბრალდებით იგორ გიორგაძის მომხრე რამდენიმე ადამიანი ციხეში ჩასვეს, მათ შორის გიორგაძესთან დაკავშირებული ფონდის, „ანტისოროსის“ ხელმძღვანელი, სამედიცინო ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი. მაშინ ის ერთადერთი იყო, ვინც ბრალი აღიარა და საოცარ აღიარებით ჩვენებას მოაწერა ხელი. ჩვენების მიხედვით, მას უნდა ეპოვა 500 კაცი, რომელსაც შეაიარაღებდა. მერე ეს ხალხი პარლამენტისკენ დაიძვრებოდა და ჯერ ნინო ბურჯანაძეს მოკლავდა, შემდეგ ირაკლი ოქრუაშვილს და ხელში სტრატეგიულ შენობებს ჩაიგდებდნენ, ფინალი კი სახელმწიფო გადატრიალება უნდა ყოფილიყო. 6-წლიანი დუმილის შემდეგ, აღიარებითი ჩვენების ავტორმა, იმ მუქარასა და ზეწოლაზე ისაუბრა, რის გამოც გამოძიებასთან „ითანამშრომლა“.

შეთქმულება №2. ისევ რუსული სპეცსამსახურები, ისევ ძლიერ ტელევიზიაზე, „იმედზე“ თავდასხმა, რომელიც მაშინ სააკაშვილის მთავარ ოპონენტს, ბადრი პატარკაციშვილს ეკუთვნოდა, ოპოზიციის გამარგინალება და იგივე ბრალდება, შეთქმულება საქართველოს ხელისუფლების დასამხობად — **ეს 2007 წელია**, რომლის სცენარი ყველაზე მეტად ჰგავს დღევანდელ მოვლენებს. ნოემბრის აქციების ფონზე, ნაციონალებმა ოპოზიციის თითქმის ყველა ლიდერს ბრალი დასდეს ჯაშუშობაში, ხელისუფლების გადატრიალების მცდელობაში და „ოცნებაზე“ შორსაც წავიდნენ. მათ დადეს კადრები, სატელეფონო ჩანაწერები, ერთმანეთთან საუბრის აუდიო და ვიდეომასალა და ასე შეეცადნენ „იმედზე“ შევარდნისა და არხის პარალიზების გადაფარვას. საქმე აღიძრა „ლეიბორისტების“ ლიდერის, შალვა ნათელაშვილის წინააღმდეგ, რომელსაც პირადად ნიკა გვარამიამ წაუყენა ბრალი 2007 წლის 8 ნოემბერს. ბრალს საფუძვლად დაედო ფარული სატელეფონო ჩანაწერები, სადაც ნათელაშვილი რუსეთის საელჩოს წარმომადგენელთან საუბრობდა. სწორედ ამავე საელჩოს თანამშრომელთან საუბრის ჩანაწერი გახდა მთავარი კომპრომატი რესპუბლიკელი ლევან ბერძენიშვილის წინააღმდეგ. ამიტომ გაუგებარია, თუკი მსგავს შეთითხნილ მასალებზე 2007 წელს ეცინებოდა, დღეს რატომ არ აქვს იგივე რეაქცია „ოცნების“ კოალიციის დეპუტატს. 2007 წლის 9 ნოემბერს გენპროკურატურა უკვე ცოტნე გამსახურდიაზე გავიდა. მისი ინფორმაციით, გამსახურდია რუსეთის სადაზვერვო სამსახურის თანამშრომლებთან, სოკოლოვთან, სოლომატინსა და ვოლინკინთან „კავშირში იყო შემჩნეული“. მას დაუდეს საკუთარ ძმასთან საუბრის ჩანაწერი, სადაც იგი კონსტანტინე გამსახურდიას საყვედურობდა, 2 ნოემბერს აქციაზე 100 000 კაცი რატომ არ გამოიყვანე, ხელისუფლების დასამხობადო. იგივე ბრალდება ისმოდა ოპოზიციის ერთ-ერთი გამოკვეთილი ლიდერის, გოგა ხაინდრავას მისამართითაც, რომელიც სრულიად საქართველომ ფარულ ჩანაწერში გაჟღერებული „პრივეტსტვუიუ, მაესტრო“-თი დაიმახსოვრა. ცოტა უფრო მასშტაბური სახე კი ვალერი გელბახიანისა და ბადრი პატარკაციშვილის შეთქმულებამ მიიღო, რომლის კვანძის გახსნაში ლომის წვლილი ერეკლე კოდუას მიუძღვის. გელბახიანს ბრალი 2007 წლის 17 დეკემბერს წარუდგინეს და შსს-მ ასეთი განმარტება შემოგვთავაზა: გამოძიებამ დაადგინა, რომ გელბახიანმა ჩაიდინა დანაშაული, შეთქმულება საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად. მან ბადრი პატარკაციშვილთან და მარინა გაბუნიასთან ერთად, შეიმუშავა ხელისუფლების დამხობის გეგმა, რომლის თანახმად, ორგანიზებულ ჯგუფებს, ქვეყანაში საპრეზიდენტო არჩევნების ჩასაშლელად, ძალადობრივი პროვოკაციებით, ქუჩაში უკმაყოფილო ხალხი უნდა გამოეყვანა და მასობრივი არეულობა დაეწყო.

შეთქმულება №3. მორიგი შეთქმულება **2009 წლის 5 მაისის „მუხროვანის ამბოხის“** სახელითაა ცნობილი. ამბოხის პრეისტორია ასეთია: შს სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსმა შოთა უტიაშვილმა 5 მაისს, როცა ამბოხში ბრალდებულები დააკავეს, პრესკონფერენციაზე გვამცნო, რომ ჩაიშალა სამხედრო ამბოხის გეგმა, რომლის ორგანიზატორებიც ყოფილი სამხედრო მაღალჩინოსნები იყვნენ. უტიაშვილის თქმით, ეს გეგმა რუსეთთან იყო კოორდინირებული და მიზნად, მინიმუმ, ნატოს სამხედრო წვრთნების ჩაშლას, მაქსიმუმ კი — ქვეყანაში სრულმასშტაბიან სამხედრო ამბოხს ისახავდა. საქმის 41 განსასჯელიდან, მოსამართლემ ათამდე კაცი დაიჭირა, ზოგს დიდი გირაო შეუფარდა. უფრო „მსხვილი დამნაშავეები“ მაშინ რეინჯერთა ბატალიონის ყოფილი მეთაური ლევან ამირიძე და გადამდგარი გენერალი კობა ოთანაძე იყვნენ, ხოლო კობა კობალაძე, რომელიც დღეს ასევე „ოცნების“ ხელისუფლებაშია, დარბაზიდან გაათავისუფლეს. გამოძიების ინფორმაციით, ამბოხი იგორ გიორგაძის მინისტრობის დროს შექმნილი სპეცდანიშნულების ცნობილი რაზმის, „ომეგას“ ყოფილმა წევრმა, გია ღვალაძემ, მეტსახელად „ზამპალიტამ“ გასცა. თურმე, ქართველი სამხედროები რუსული ტანკების კოლონას გზას უხსნიდნენ ცხინვალიდან, ამ დროისთვის კი, თბილისის სტრატეგიული ობიექტები უკვე დაკავებული უნდა ჰქონოდათ. მოქმედ პირთა შორის იყო გადამდგარი პოლკოვნიკი გია კრიალაშვილიც, რომელიც ე.წ. აყვანის სპეცოპერაციის დროს შემოაკვდათ. თუმცა, გავრცელებული ინფორმაციით, ხელისუფლებამ 20 მაისის სპეცოპერაციაზე გია კრიალაშვილის სიკვდილი უბრალოდ „გააფორმა“. ჯამში, „სრულმასშტაბიანი სამხედრო ამბოხის“ ნაცვლად, ხელთ ერთი მოკლული და ერთიც ოპოზიციაში გადასული გენერალი შეგვრჩა.

შეთქმულება №4. თემურ ხაჩიშვილი, რომან დუმბაძე, ვალერი გელბახიანი, დავით შუკაკიძე, ნიკოლოზ გოგუაძე, პაატა მოდებაძე — ეს ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობის არასრული შემადგენლობაა, ხომერიკით სათავეში, რომელთაც ნაციონალებმა მორიგი გადატრიალება დააბრალეს. **2011 წლის 26 მაისს აგორებულ ამ საქმეს ე.წ. ყინწვისის შეთქმულების** სახელით ვიცნობთ. „შეთქმულების“ პარალელურად, ქუჩებში ნინო ბურჯანაძის გაუთავებელი საპროტესტო აქციები მიმდინარეობდა, ხან საზოგადოებრივ მაუწყებელთან, ხან რუსთაველზე, ხან თავისუფლებაზე. ამ აქციებს სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები უერთდებოდნენ და ერთ-ერთი ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობა იყო, რომლის წევრები 26 მაისს,

გამთენიისას, ყინწვისში აიყვანეს, 26 მაისს კი, ზუსტად ღამის 12 საათზე ნინო ბურჯანაძის აქცია დაარბიეს. „ყინწვისის შეთქმულებაში“ იყო კოდური სახელები, წიგნში დაშიფრული სტრიქონები და სხვა მსგავსი სპეცეფექტები, რომელიც შემდეგ საქმის მასალებიდან გააქრეს. შეთქმულთა გვარები და გეგმები კი, დიდწილად, ბურჯანაძის ქმარს, ბადრი ბიწაძეს დაუკავშირდა, რომელსაც მაშინ ხელისუფლება ეძებდა და ბრალიც კი წაუყენა. ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ხაჩიშვილის შეიარაღებულ ძალას ბიწაძე-უჩავას „შეფიცულები“ იგოეთში უნდა შეერთებოდნენ და თბილისზე იერიში გაერთიანებული ძალებით მიეტანათ. მეორე ვერსიით, ნიკა გოგუაძე ცხინვალიდან 2 000 ქართულად მოლაპარაკე რუსი სამხედროს უნდა შემოძღოლოდა. ამ დროს, გენერალი გია უჩავა თბილისში იყო და ბურჯანაძის აქციებისთვის ე.წ. შეფიცულთა რაზმს წვრთნიდა. ჯამში, 25 მაისს, დილით, სწორედ უჩავა დააპატიმრეს და მისი და გოგუაძის აღიარებითი ჩვენება გახდა „ყინწვისის შეთქმულების“ გახსნის საფუძველი. სასაზღვრო პოლიციის ყოფილ შეფს კი წინასწარ შექმნილი ჯგუფის მიერ პოლიციელებზე განხორციელებული თავდასხმის ორგანიზების მცდელობაში დასდეს ბრალი. მოგვიანებით, ბიწაძე პოლიტდევნილი გახდა, უჩავა შეწყალებით გამოვიდა, ხოლო ყინწვისის საქმეზე დაპატიმრებული ჯგუფისა და ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობის ხელმძღვანელი ნიკა გოგუაძე, რომელსაც 12 წელი ჰქონდა მისჯილი, პოლიტპატიმრად აღიარეს და მას ამნისტია შეეხო.

შეთქმულება №5. „ზილების რევოლუციის“ სახელით ცნობილი სპეცოპერაცია 26 მაისს მიება და ირაკლი ოქრუაშვილსა და „ქართული პარტიის“ წევრებს ეხებოდა. ამბის მოკლე შინაარსი ასეთია: 2011 წლის მაისის ბოლოს, ძებნილი ირაკლი ოქრუაშვილი ქვეყანაში შემოსვლას ვლადიკავკაზიდან გეგმავდა. ის ჯერ ცხინვალში შემოვიდოდა, მერე კი რუსი სპეცრაზმელებისა და ქართველი მეკავშირეების დახმარებით, ცხინვალი-გორი-თბილისის სისხლიან რეისს მოაწყობდა, „ზილების“ დახმარებით. ოქრუაშვილი, რუსი ბოევიკებიანად, ერთ-ერთ, ვითომ ცარიელ „ზილში“ უნდა მჯდარიყო და ქართული საგუშაგოსთვის ცეცხლი გაეხსნა. ნაციონალებმა მაშინ „ქართული პარტიის“ ლიდერების გარდა ყველა ადამიანი დაიჭირეს, ვინც ამ პარტიის ოფისის შორიახლოს ჩაიარა. თან, ყველა დაკითხულსა თუ დაპატიმრებულს სახლში ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალები აღმოუჩინეს: ზოგს სათავსოში, ზოგს სარდაფში, ზოგსაც ბოსტანში. ერთ-ერთი ბრალდებით, რევოლუციის ავტორებს დიდი ოდენობით იარაღი სწორედ ბოსტანში გათხრილ ორმოში ჰქონდათ ჩამარხული, თუმცა ეს „ბოსტნის ორმო“ დღემდე ყველას ღიმილს გვგვრის. ჯამში, ათზე მეტი პირი დააკავეს. საქმეში კი ბევრი საინტერესო, ძირითადად, თავდაცვისა და შს სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსნების გვარები ფიგურირებდა. დაკავებულთა შორის იყვნენ თავდაცვის სამინისტროს ექსთანამშრომლები შალვა და გიორგი საბაშვილები, თავდაცვის მინისტრის აპარატის ყოფილი უფროსი, „ქართული პარტიის“ რეგიონული კოორდინატორი ლევან ტერაშვილი და სხვები. რევოლუცია ერთ-ერთმა დაკავებულმა საბაშვილმა გასცა და აღიარებით ჩვენებაში „ზილებიანი ირაკლის“ გეგმები წვრილად ჩაარაკრაკა.



ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, 315-ე მუხლი როგორც ამ, ისე წინა ხელისუფლების მაშველ რგოლად იქცა, როცა პროცესებზე მართვის სადავეებსა და რეიტინგს კოსმოსური სიჩქარით კარგავდნენ. ნაციონალებს ბოთლიდან ზუსტად იგივე „ჯინი“ ამოჰყავდათ, ოპოზიციას ფარულ ჩანაწერებს, აუდიო და ვიდეო საუბრებს უდებდნენ და მერე, 1 საათში იღებდნენ აღიარებით ჩვენებებს სამშობლოს ღალატის დასტურის შესახებ. ყველა ეს საქმე ან ვადამდელ, ან მორიგ არჩევნებს უკავშირდებოდა და ნაციონალები, ამ შეკონწიწებული რევოლუციებით, ხელისუფლებას იხანგრძლივებდნენ. მაგრამ, ისიც გავიხსენოთ, როგორ დამთავრდა ოპოზიციის ლიდერების წინააღმდეგ პანტა-პუნტით აღძრული მქუხარე საქმეები — დღეს ყველა ეს ლიდერი ისევ ლიდერია და ძველებურად აქტიურობს. არც არავინ დაუჭერიათ, არც არავინ დასჯილა და არც ჩვენ გვიგრძნია რეალური საფრთხე, რომ ხელისუფლებამ სისხლისღვრა აგვაცილა თავიდან. თანაც, 2006 წლიდან 2012 წლამდე პერიოდი სრულიად საკმარისი იყო, ნაციონალებს ერთი ნამდვილი ფაქტი მაინც ეჩვენებინათ, რაც შეთითხნილი შეთქმულების რეალურობაში დაგვარწმუნებდა! რატომ არ შეიძლება, დღევანდელი „შეთქმულებაც“ ისეთივე ფარსი იყოს, როგორც წინა ხუთი? როგორც ჩანს, „ოცნებაში“ ბრძენები მართლაც არ არიან, რომ სხვის შეცდომაზე ისწავლონ, თუმცა საკუთარზეც ვერ სწავლობენ და ვერც იმას ხვდებიან, რომ თუნდაც მათ მიერ არაერთხელ გამოსროლილ 315-ე მუხლს „ფიშტოს“ ეფექტიც აღარ აქვს! აქ სამწუხარო და სავალალო კიდევ ის არის, რომ შეთქმულებებით „ოცნება“ მარტო ქვეყნის შიგნით კი არა, ქვეყნის გარეთაც ერთობა: ჯერ აქ ბრალი კონკრეტულად არავისთვის წაგვიყენებია, გამოძიება ლოგიკურ ეტაპამდე არ მისულა და ჩვენ უკვე ხან უკრაინულ სპეცსამსახურებს მივმართავთ, ხან უკრაინის პრეზიდენტს, სააკაშვილი გაუშვი, არამეგობრულად იქცევიო, ახლა საქმის კურსში ესტონური მედიაც ჩავაყენეთ. რა შედეგი მოჰყვება დაკითხვების ამ სერიას და რა ბედი ეწევა „შეთქმულება 2015“-ის საქმეს, რას მოიგებს ამით ხელისუფლება, ზოგადად, რატომ ირჩევს ყველა მთავრობა ოპონენტის წინააღმდეგ ბრძოლაში „სამშობლოს მოღალატის“ მუხლს და რა სირთულეებთანაა დაკავშირებული ასეთი სერიოზული ბრალის დამტკიცება — „ვერსიისთვის“ განმარტებას იურისტი, „მომავლის ინიციატივების“ დამფუძნებელი **ლევან ალაფიშვილი** აკეთებს: **„რაც ხდება, მარტო შიდაპოლიტიკის საკითხი აღარაა. ამ ყველაფერში ნატოცაა ჩართული, რადგან შსს-ს დეპოლიტიზება და რეფორმა, ანუ სპეცსამსახურების პოლიტიკიდან გარიდება სწორედ ნატოს რეკომენდაციაა. ეს საქმე კი პირველი ტესტია ჩვენი ხელისუფლებისა და უსაფრთხოების სააგენტოსთვის, რადგან ახლა ვნახავთ, რეალურად შედგა თუ არა შსს-ს დეპოლიტიზაცია. რაც შეეხება 315-ე მუხლსა და ჩვენს ისტორიას: ყველა ხელისუფლება კომფორტულად გრძნობს თავს, როცა ოპონენტს ამ მუხლს უყენებს, რადგან გადატრიალების ბრალდება განსაკუთრებულად მძაფრი და მომნუსხველია და ბრალდებული პოლიტიკური ძალის დისკრედიტების უნარიც აქვს. თავისთავად, ეს სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული საქმეა და გამოძიების მასალებს ედება გრიფი, „საიდუმლო“, საზოგადოებაში ინფორმაცია არ გადის, რაც ქვეცნობიერში ამ მუხლს უფრო ამძიმებს. თუმცა 315-ე მუხლით აღძრული და ბოლომდე მიყვანილი გამოძიება ჯერ არ მინახავს, მით უმეტეს, „ოცნების“ მხრიდან, ეს უკვე მეორე მცდელობაა. რამდენად სერიოზულია ამ მუხლის წაყენება და საფრთხეები, ამას თავად უსაფრთხოების სააგენტო პასუხობს თავისი მოქმედებით — სამართლებრივი საფუძველი რომ ყოფილიყო, პროკურატურასა და უსაფრთხოების სამსახურს კონკრეტული ადამიანების პასუხისგებაში მიცემას ვერავინ დაასწრებდა! გავიხსენოთ საერთაშორისო და საკუთარი ქვეყნის გამოცდილებაც: 90-იან წლებში, ჩვენთანაც, აზერბაიჯანშიცა და სომხეთშიც რეალურად იყო სამხედრო გადატრიალების არათუ მცდელობა, არამედ დანაშაული. იმის მწარე გამოცდილება გვაქვს, რეალურად, რას ნიშნავს კანონიერი ხელისუფლების დამხობა და სახელმწიფო გადატრიალება. სამწუხაროდ, ის ცდა წარმატებული აღმოჩნდა, მაგრამ მას გამოძიება და სამართლებრივი შეფასება არ მოჰყოლია. ამ დროს, 90-იან წლებში რეალური გადატრიალების ყველა მკაფიო ნიშანი სახეზე გვქონდა: ძალადობა, ხელისუფლების ჩამოგდების დასრულებული მცდელობა, შეიარაღებული დაჯგუფებები და ეს ქმედებები აქტიურად იყო მიმართული კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ. ასე რომ დღესაც ეს ნიშნები რომ ყოფილიყო, უსაფთხოების სააგენტოს ალბათ, ვერავინ დაასწრებდა განმარტებებსა და მოქმედებაში. ნამდვილი გადატრიალების მძიმე ფასი, რასაც სამოქალაქო დაპირისპირება მოჰყვა, უკვე გადავიხადეთ. ამიტომ ახლა ცალკე საკითხია, მისაღებია თუ არა ამ მუხლის აპრობირება და გამოყენება ოპონენტის წინააღმდეგ. ზოგადად, მთელ მსოფლიოში, ამ მუხლს ყველა ძალიან ფრთხილად და დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება, რადგან მცირე კითხვის ნიშანიცა და სახელმწიფოს წარუმატებლობა ამ მიმართულებით, ისევ სახელმწიფოს წინააღმდეგ შებრუნდება. დარჩენილი კითხვები ისევ პროკურატურის, გამოძიებისა და ხელისუფლების მიმართ დაისმება, რომელმაც იჩქარა, ან პოლიტიკურად მოტივირებული გადაწყვეტილება მიიღო. განვითარებადი და განვითარებული დემოკრატიის ქვეყნები განსაკუთრებული სიფრთხილით, მაღალი სტანდარტითა და მაქსიმალური გამჭვირვალობით უდგებიან სასამართლოში ასეთი საქმეების განხილვას. ჩვენ კი ეს საქმე დავხურეთ და მხოლოდ ორ ბრიფინგიდან გვაქვს ზოგადი ინფორმაცია საქმის აღძვრის შესახებ. ასევე, მივმართავთ ჩვენს უკრაინელ კოლეგებს, თუმცა რატომ და რისთვის, უცნობია, რადგან ჯერ გამოძიება ქვეყნის შიგნით არ დასრულებულა და არც არაფერი დადასტურებულა. როცა თავადაც არ გაქვს დაზუსტებული და დამტკიცებული ინფორმაცია, ასეთი მიმართვები ორი ქვეყნის ურთიერთობისთვის საკმაოდ სახიფათო და დამაზარალებელიც შეიძლება აღმოჩნდეს. ეს ყველა ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს“.**

ჰოდა, დასკვნა ყველამ ჩვენ ჩვენთვის გამოვიტანოთ — მერამდენედ უნდა ვთქვათ, რომ „ეს კინო ნანახი გვაქვს“ და მივხვდეთ, რომ ამ მორიგ „დაბალბიუჯეტიან ბლოკბასტერში“ არც სიტყვის თავისუფლებისთვის ბრძოლაა და არც კონსტიტუციური წესრიგისთვის!

ბატონ გოგის სტალინი უყვარს

ლევან სეფისკვერაძე

გოგის სტალინი უყვარს. ეს ფაქტია! ფაქტია ისიც, რომ გოგი დღეს იმ კოალიციაშია, რომელიც საპარლამენტო უმრავლესობას წარმოადგენს, ანუ ქვეყანას მართავს. ბატონი გოგი მდიდარი კაცია. მას მიაჩნია, რომ საქართველოში უცხოური პროდუქცია უფრო მაღალი ბაჟით უნდა იბეგრებოდეს, რადგან თვითონ კიდევ უფრო მეტად გამდიდრდეს. სიმდიდრისადმი ლტოლვა და ბიზნესის (თუნდაც ბევრი კითხვის გამჩენი ბიზნესის) კეთება დანაშაული არაა. არც სტალინის სიყვარულია დანაშაული, მაგრამ ჰოი, ელინთა ღმერთებო, ეგებ თქვენ აგვიხსნათ, ეს ორი რამ როგორ ებმის ერთურთს – ბიზნესმენობა და სტალინი!

ქვეყანაში მცხოვრები და ერის მოჭირნახულე „ბრძენი კაცი“ ამბობს, რომ გოგის უნდა შევუნდოთ სტალინის ტრფობა, რადგან გოგი მოხუცი კაცია, 75 წელი აქვს უკან მოტოვებული და ჩვენებურად რომ ვთქვათ, ცოტა...

სხვათა შორის იმ „ბრძენ კაცს“ უარესი არაბრძენობებიც აქვს ნათქვამი და ასეთი რამ უკვე დიდი ხანია აღარ გვიკვირს. ჩვენ უკვე ისიც აღარ გვიკვირს, რატომ არის ის „ბრძენი კაცი“ „ბრძენი“ და საერთოდ, რატომაა იქ სადაცაა. თუმცა ამაზე მნიშვნელოვანი მაინც ისაა, ჩვენ სად ვართ და უნდა ვიყოთ თუ არა იქ, სადაც დღეს ვართ ჩვენ და მთელი ქვეყანა.

საქმე ისაა, რომ ბატონი გოგი სტალინის სიყვარულში მარტო არ არის და იქვე, პარლამენტში ჰყავს სხვა მისებრ ბელადის მოყვარულნი. ზოგი ამას ხმამაღლა ამბობს, ზოგი კი გულში ინახავს, ვითარცა ჩუმ და კაეშანნარევ ტრფობას. მათ გულში ბევრი რამ ეტევა: ღვარძლი, ფულისმოყვარეობა, მსხვილი ამბიციები, ბოროტება და სხვანი და სხვანი, მაგრამ თავის ადგილი მაინც უჭირავს დიდ ბელადს, იოსებ ბესარიონოვიჩს, რომელიც იმ დალოცვილ 50-იან წლებში მოკვდა თუ არა, ჯერ ესეც კი ვერ გაგვირკვევია.

აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონისათვის ავტონომიის მინიჭება, საქართველოს 70-წლიანი საბჭოთა ოკუპაცია, საინგილო-ჰერეთის, ლორეს და თქვენ წარმოიდგინეთ, იალბუზის მთის (აქაოდა, კავკასიონის ყველაზე დიდი პიკი დიდი ძმის – რუსეთის ტერიტორიაზე უნდა იყოსო) სხვადასხვა რესპუბლიკებისათვის ჩუქება-ჩამორიგება, ქვეყნის საუკეთესო და განათლებული ნაწილის ამოხოცვა და რეპრესირება, პოლონეთის, ფინეთისა და მსოფლიო ომებში ასეულათასობით ჩვენი თანამემამულის ჩახოცვა, სამღვდელოების დევნა და ეკლესიების ნგრევა, საქართველოს საუკეთესო სამუზეუმო ექსპონატების რუსეთში გატანა, ქვეყნის ევროპული განვითარების შეჩერება და რუსეთის მიჭყლეტილ პროვინციად ქცევა – ეს ყველაფერი რას მოვა იმ გრძნობასთან, როდესაც საქართველოს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, ბატონი გოგი ხარ და სტალინი გიყვარს. დიდი სტალინი!

ბატონი გოგი პარლამენტის წევრი იმდენგზის გახდა, მაგდენჯერ ყაზბეგში არა ვარ ნამყოფი. ყაზბეგი ხომ ბატონი გოგის მშობლიური მხარეა და აკი თავის მიერ წარმოებულ ლუდსაც ეს სახელი უწოდა. ყაზბეგი ერთ დროს ყაზბეგების გვარის საბრძანისი ადგილი იყო და როდესაც საქართველო საბჭოთა რუსეთმა დაიპყრო, ჩვენი ქვეყნის სხვა თავადაზნაურობასთან ერთად, ყაზბეგებსაც წაჰგვარეს მშობლიურ მხარეში ცხოვრების უფლება და მათაც აგემეს ციმბირის მთელი „სიამე“.

იმ უბედურ და მისდაჭირად ნიჭიერ ალექსანდრე ყაზბეგს თუ არ ჩავთვლით, როგორც ცნობილია, ხევის გამგებელი ყაზბეგები სულაც არ იყვნენ ლმობიერი თავადები და ადგილობრივ გლეხებს საკმაოდ ცუდადაც ეპყრობოდნენ. ეს ისტორიაა, სადაც ვერაფერს შეცვლი და სტალინის მსგავსად რომც მოინდომო შეცვლა, ბოლოს მაინც არაფერი დაიმალება. საინტერესოა, ვინ იქნებოდა ბატონი გოგი და რას მოიმოქმედებდა იმ დროსა და ეპოქაში? ვითომ ყაზბეგებიც სტალინისებრ ეყვარებოდა? თუმცა რაღა ვითომ?...

ქურდობა სასიდედროს ვალისთვის

როგორ „დაუფასა“ ამაგი პატიმარ სანტექნიკოსს შეყვარებულის ოჯახმა

პატიმარი №0578

თუ მუდმივად არა, ძალიან ხშირად, პატიმრები საკუთარ დანაშაულს სიყვარულის სახელით ამართლებენ. ალბათ იფიქრებთ, სიყვარული რა შუაშიაო, მაგრამ... საცოლეს დაბადების დღე ჰქონდა და ფული მჭირდებოდა... ცოლს პალტო სჭირდებოდა და ფული არ მქონდა... ქალი მომენატრა, ირგვლივ ყველა გულაობდა და ფული მჭირდებოდა... ხშირად გაიგონებთ პატიმრებისგან ასეთ სიტყვებს და თითქმის ყველა ისტორია ერთმანეთს ჰგავს — ბანალურია და არაფრით გამორჩეული. ისიც აღსანიშნავია, რომ სიყვარულის ობიექტები ძირითადად ჩადენილ დანაშაულს „გმირობად“ არ აღიარებენ და უბრალოდ მიდიან. მიდიან სხვასთან, მიდიან სხვაგან და რჩება პატიმარი ან გაბოროტებული, ან ზუსტად იცის, რომ სხვა დროს ასეთი რამ აღარ უნდა გააკეთოს. თუმცა გამონაკლისებიც არის და თან იმდენად საინტერესო გამონაკლისები, რომ...

„შენ თუ იცი, რას გრძნობს კაცი, რომელიც ციხეში სიდედრის კი არა, სასიდედროს გამო ზის?!“ — პატიმარ №0578-ს კამერაში ვანჩო იჯდა, ყავას წრუპავდა და თან მეგობარს მოჭუტული თვალებით უყურებდა.

„არა, არ ვიცი... და ისე ჩანს, შენ იცი და გინდა რაღაც ახალი მასწავლო“, — გაუღიმა №0578-მა.

„მოკლედ, შენ თუ ორ „ზახოდ“ ყავას მომცემ, ამაღამ რომ დავლიო და მერე, დილით სანამ გავიღებით, ისეთ „ნაკოლს“ მოგცემ, გაოგნდები“, — სერიოზულად თქვა ვანჩომ.

„სულ არ მინდა ეგ შენი „ნაკოლი“, ერთი „ზახოდი“ წაიღე, დილით კი აქ შემოეთრიე და ერთად დავლიოთ“, — უთხრა №0578-მა და რუპორში დაიძახეს კიდეც: „იწყება საღამოს შემოწმება, ყველა მსჯავრდებული შევიდეს საკანში“.

მეორე დილით ვანჩო შოკოლადის ფილით ეახლა ძმაკაცს, ენერგიულად წამოავლო ჭიქას ხელი, ყავა მოადუღა, ნარზე ჩამოჯდა და მხიარულად დაიწყო:

„მოკლედ, ის სირი სიდედრის ვალებისთვის წავიდა საქმეზე. უფრო ზუსტად, სასიდედროსი. ახლა ის სასიდედრო თავის ქალიშვილს გათხოვებას აძალებს, ეს კიდევ აქ ამტვრევს რამკებს, ეს რა ვქენიო, მაგრამ რვა წელი აქვს ნუგა კანფეტივით და მანამდე ვერაფერს იზამს...“

„მოიცა კაცო, ვინ სირი, რას ჰყვები?!“ — გააჩერა №0578-მა.

„დაბარებული მყავს, მოვა ახლა და მოგიყვება საინტერესო ისტორიას“, — გაიკრიჭა ვანჩო და ოთახში №0578-სთვის უცნობი პატიმარი შემოვიდა, მორიდებით მიესალმა ორივეს და ნართან ჩამოდგა.

„დაჯექი, რა „ნადზირატელივით“ ფეხზე დგახარ“, — კბილი მოუსინჯა №0578-მა ახლადმოსულს და როცა ის უხმოდ ჩამოჯდა, ვანჩოს წყენით გახედა — ნორმალური პატიმარი „ნადზირატელთან“ შედარებას უცხო პატიმრისგან შეურაცხყოფად მიიღებდა. ვანჩო მაშინვე მიხვდა, №0578-მა რაც ჩაატარა, თავი გადააქნია და ახლადმოსულს უთხრა: „ჩათვალე, ეს აქაურობის ისტორიკოსია, შენი ამბავი მოუყევი და მერე ან წიგნში ნახავ, ან გაზეთში, ან საერთოდ ვერ ნახავ, მაგრამ დაიკიდე, რა. საინტერესოდ მოყევი და განსაკუთრებით სასიდედროსთან საუბარი არ გამოტოვო“.

„რა გქვია?!“ — ჰკითხა №0578-მა.

„მერაბი“, — ჩუმად თქვა პატიმარმა.

„ჰოდა, ჩემო მერაბია, მოყევი, ნუ მოგერიდება. ამას რომ უყურებ, მთელი სროკი ასე ღრეჭვაში უნდა რომ გაატაროს, შენ კიდევ სერიოზული კაცი ჩანხარ და...“ — აღარ დაასრულა №0578-მა.

„ჩვეულებრივი ისტორიაა, მაგრამ ამან... ვანჩომ თქვა, არ არის ჩვეულებრივიო და რა ვიცი აბა“, — მორიდებით თქვა მერაბმა.

„მოდი, შენ მოყევი და ჩვენ გადავწყვეთთ, ჩვეულებრივია თუ არა“, — შეაგულიანა №0578-მა.

„ხელოსანი ვარ, სანტეხნიკი. სამუშაო არასდროს მაკლდა და ერთხელ მცხეთაში წამიყვანეს ახლადაშენებულ სახლში კანალიზაციის „ტრუბების“ გასაკეთებლად. იქ გავიცანი ნია და მივხვდი, რომ მის გარეშე ვერ ვიცხოვრებდი. რა თქმა უნდა, სიყვარულზე ვერაფერი ვუთხარი, როგორი სათქმელი იყო, როცა ჩემს თვალწინ, ბანკმა სახლი ოთხ მილიონად შეაფასა. რაღაც ბიზნესისთვის კრედიტი აიღეს. მერე და მერე, ოჯახს გავუშინაურდი და მითხრეს, ბაღის გაკეთება გვინდა და იქნებ მილები ბაღშიც გაიყვანოო. უარს როგორ ვეტყოდი და დავიწყე მილების გაყვანა. არ ვჩქარობდი და არც მაჩქარებდნენ. სადილადაც მიპატიჟებდნენ ხოლმე. ნიას დედა, ქალბატონი მანონი ისე მექცეოდა, როგორც მათხოვარს, მაგრამ მე მეკიდა ეგ ამბავი, მთავარი იყო, ნია მექცეოდა კარგად. ჰოდა, ერთ დღესაც ავუხსენი, რომ მიყვარდა და რომ მის გარეშე არ შემეძლო და ჩემდა გასაოცრად თბილად გამიღიმა და ლოყაზე მაკოცა. ამის მერე, სულ რომ არაფერი მოეცათ, მაინც თავს მოვიკლავდი. ერთ დღესაც ნია ნამტირალევი დამხვდა, სახლს გვართმევენ, იმიტომ, რომ კრედიტი გვაქვს გადასახდელი და ვერ ვიხდითო. ისეთი საცოდავი იყო, ისეთი დაუცველი, რომ კინაღამ სისხლი ჩამექცა ტვინში. რამდენია-მეთქი და თავისი, დიდი, ცისფერი თვალები შემომანათა და ისე მითხრა, სამასი ათასიო, რომ მეგონა, სამ ლარზე მელაპარაკებოდა“, — ამოიოხრა მერაბმა.

„და სამასი ათასის შოვნის ერთი ადგილი რომ არ გქონდა, არ იცოდი?!“, — ჰკითხა №0578-მა.

„როგორ არ ვიცოდი, მაგრამ... ერთი კაცი იყო, იმის სახლში გავაკეთე სანტექნიკა. ჰოდა, სეიფი იყო და იმ სეიფის წამოღება გადავწყვიტე. მანამდე ნიას დავუჯექი, ვუთხარი, ამას და ამას ვაპირებ-მეთქი და გაეცინა, არ დამიჯერა. მე კიდევ იმიტომ ვუთხარი, თუ დამიჭირეს, ის მაინც იცოდე, რომ ქურდი და მამაძაღლი არ ვარ-მეთქი...“

მერაბმა ვეღარ დაასრულა, ჯერ ვანჩოს ხელი მოხვდა, მერე — №0578-ის.

„შე სირო, ვინც იპარავს, მამაძაღლია?!“ — იღრიალა ვანჩომ და ფეხზე წამოხტა, მაგრამ №0578-მა გააჩერა, მორჩეს მოყოლასო.

მერაბმა თვალები შიშით ააფახულა და ფრთხილად განაგრძო: „ის სეიფი წამოვიღე. თურმე რაღაც გადამცემი ჰქონია სეიფში. მე რამდენიმე დღე ვცდილობდი დამეშალა და თურმე ამ დროს პოლიცია მითვალთვალებდა, აინტერესებდათ, თანამზრახველები თუ მყავდა. ერთი კვირა ვეწვალე და რომ ვერ გავხსენი, კი დამიჭირეს მერე. შეღწევაო, სხვისი ქონების დაუფლებაო, შემიკრიბეს და 8 წელი მომცეს. არადა, როგორც პირველად ნასამართლევს, ამდენი არ მეკუთვნოდა. ნია სასამართლოზე მოვიდა, მანიშნა, მთელი ცხოვრება დაგელოდებიო, მაგრამ ახლა გავიგე, თურმე დედამისი ათხოვებს ძალით ვიღაცაზე. ის სახლი მაინც წაურთმევიათ, მაგრამ არ აქვს ჩემთვის მაგას მნიშვნელობა, მე ის მიყვარს და დედამისს მოვკლავ, თუ გაათხოვებს“, — დაიმუქრა მერაბიმ.

„ახლა შენ მომისმინე — სასიდედროს გამოო და სასიდედრო რა შუაშია?!!“ — ვანჩოს მიუბრუნდა №0578.

„ეეე... გონზე არა ხარ, რა... ის კრედიტი იმ ნიას კი არ ჰქონდა, სასიდედროს ჰქონდა გამოტანილი. ჰოდა, იმისთვის გარისკა ამან, თორემ წამოეყანა ის ნია თუ წაყვებოდა და იქნებოდა ახლა ბედნიერი“, — გაიცინა ვანომ.

„სასიდედრომ თუ იცის, რისთვის გააკეთე ეს?!“ — ახლა მერაბის მიუბრუნდა №0578.

„როგორ არ იცის, ნიამ უთხრა, მაგრამ იმას უთქვამს, სულ ვიცოდი, რომ ეგ ბიჭი დეგენერატი იყო და დაამტკიცა კიდეცო“, — ამოიხვნეშა მერაბიამ.

„იმ სეიფში რამდენი იყო?“ — არ მოეშვა №0578.

„არ ვიცი, არ მითხრეს“, — თავი ჩაღუნა მერაბმა.

* * *

№0578-მა მერაბია ამას წინათ ელიავაზე ნახა. ქალი და ბავშვი ახლდნენ... ისევ სანტექნიკობს თურმე. №0578-მა გვერდზე გაიხმო მერაბი და... ნია მოიკითხა...

„რომ გამოვედი, ნია გათხოვილიც იყო და გამოთხოვილიც. ახლა მგონი იტალიაშია, მომვლელად მუშაობს. ცოლი ჩემი სოფლიდან მოვიყვანე, კარგი გოგოა, ბავშვობიდან ვიცნობ“, — გაიღიმა მერაბიამ და ცოლ-შვილს სიყვარულით გახედა.

„ნია, რამდენჯერ უნდა გითხრა, რომ ხურდა პირში არ ჩაიდო?!“ — გაუბრაზდა დედა ბავშვს და გაწითლებულმა მერაბმა თავი ჩაღუნა.

ვერსიანიუსი

შსს-მ 26 აბი „სუბოქსინი“ ამოიღო

შსს-ს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის და საგარეჯოს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1978 წელს დაბადებული თეიმურაზ გ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა თეიმურაზ გ. თბილისში, კედიას ქუჩაზე დააკავეს. პოლიციამ, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, 26 აბი ნარკოტიკული საშუალება „სუბოქსინი“ ამოიღო, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 0,208 გრ ბუპრენორფინს შეიცავს. ნარკოლოგიური შემოწმებით თეიმურაზ გ-ს მარიხუანის მოხმარების ფაქტი დაუდგინდა. ბრალდებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

შსს-მ მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განზრახ მკვლელობის ბრალდებით 1988 წელს დაბადებული შავლეგ გ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ სასურსათო მაღაზიაში ურთიერთშელაპარაკებისას ცივი იარაღით გულ-მკერდის არეში სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა 1997 წელს დაბადებულ გიორგი გ-ს, რის შედეგადაც დაჭრილი ახალგაზრდა შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა. სამართალდამცველებმა ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე წუთში დააკავეს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 108-ე მუხლით).

შსს-მ უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1974 წელს დაბადებული გიორგი კ. ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის და ტარების ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა ბრალდებულის პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ამოიღეს სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა: „ვალტერის“, „კოლტის“, „სტეჩკინის“ და „ბრაუნინგის“ ტიპის 5 პისტოლეტი, „პარაბელუმის“ ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი, კარაბინის ტიპის იარაღი, 12 მჭიდი და 666 საბრძოლო ვაზნა. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის და ტარების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის მე-1 და მე-3 ნაწილით).

შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია ეწვია

შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვიზიტით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, კერძოდ გუან ჯოუს ვიცე მერი და სხვადასხვა სამსახურების ხელმძღვანელები ეწვივნენ. შეხვედრას შს მინისტრის მოადგილე დავით ხუციშვილი და სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტის უფროსები ესწრებოდნენ. გაცნობით შეხვედრაზე სტუმრებს სამინისტროში განხორციელებული რეფორმები გააცნეს და დაგეგმილ სიახლეებზე ესაუბრნენ. მხარეებმა ასევე ისაუბრეს საქართველოსა და ჩინეთს შორის არსებულ თანამშრომლობაზე და დასახეს სამომავლო გეგმები.

„ვერსიანიუსი“

„ხელისუფლებას რომელიმე არხის დასახურად საკანონმდებლო ბერკეტი არ გააჩნია“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

რამდენი არხი მაუწყებლობს საქართველოში, ცნობილია თუ არა მათი მფლობელები და ვინ აკონტროლებს მათ

„ბოლო პერიოდში დიდი ძალისხმევა იხარჯება, რომ „რუსთავი 2“-ის მფლობელობის საკითხზე მიმდინარე სასამართლო დავა, საქართველოში სიტყვის თავისუფლების შეზღუდვასა და ხელისუფლების მიერ ერთ-ერთი რეიტინგული არხის დახურვის მცდელობად ტრანსფორმირდეს. რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაცია, უცხოური მედიასაშუალება და დიპლომატიური კორპუსის ზოგიერთი წარმომადგენელი, „რუსთავი 2“-თან დაკავშირებულ დავას წარმოაჩენს, როგორც ხელისუფლების სურვილს, დახუროს ეს ტელევიზია, ამით შეზღუდოს საქართველოში სიტყვის თავისუფლება და მედიაპლურალიზმი... დღეს, საქართველოში, სიტყვის თავისუფლებისა და მედიაპლურალიზმისთვის, ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური გარემოა მთელ ევროპაში“, — ესაა მცირე ამონარიდი საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრის, კახა ბექაურის პოსტიდან. რას ნიშნავს ყველაზე ლიბერალური გარემო მედიაპლურალიზმის თვალსაზრისით? როგორ და რა პრინციპით გაადვილდა ტელევიზიის გახსნა საქართველოში? რამდენად გამჭვირვალეა ტელეკომპანიების მფლობელებისა და მათი ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია? უსაფრთხოების რა მექანიზმები დევს კომუნიკაციების შესახებ კანონში და როგორ უნდა დავიცვათ თავი არასასურველი პროპაგანდისგან? „ვერსიის“ კითხვებს ექსკლუზიურ ინტერვიუში, საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრი, კახა ბექაური პასუხობს.

— ბატონო კახა, ციფრული მაუწყებლობის რეფორმის შედეგად, ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა, ტელევიზიის გასახსნელად, მხოლოდ ავტორიზაცია უნდა გაიაროს. შემდეგ რა ეტაპების გავლაა საჭირო?

— მთავარი ელემენტი, რაც ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლას ახლდა, მედიაგარემოს მაქსიმალური ლიბერალიზაციის კონცეფცია იყო. რეალურად, მედიის ლიბერალიზაცია ახალი ხელისუფლების პოლიტიკური ნება იყო და ეს ტექნოლოგიურ ცვლილებასთან პირდაპირ კავშირში არ ყოფილა. ციფრული მაუწყებლობა, ანუ ახალი ტექნოლოგია, მეტი არხის ტრანსლირების შესაძლებლობას გვაძლევს, მაგრამ ესეც შეზღუდულია — ტელემაუწყებელს მეტი რაოდენობის არხების გატარება შეუძლია, მაგრამ თითოეულ სიხშირეზე, 15 SD — სტანდარტული გარჩევადობის არხის ტრანსლირებაა შესაძლებელი. რაც შეეხება მაღალი გარჩევადობის HD არხს, ერთ სიხშირეზე, 5-6 არხზე მეტი არ ეტევა. მედიაგარემოს გაუმჯობესების თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი რეფორმა გატარდა. მთავარია, ტელემაუწყებლობის ლიცენზირების გზაზე, საკანონმდებლო თუ ბიუროკრატიული ბარიერი მოიხსნა და ლიცენზირება გაუქმდა. დღეს, ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირი, რომელიც კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიაში ავტორიზაციის გაივლის, უმოკლეს ვადებში დაიწყებს ტელემაუწყებლობას. ავტორიზაციისთვის მხოლოდ სავალდებულო დოკუმენტაციის წარდგენაა საჭირო — რეკვიზიტები, საბანკო მონაცემები, მისამართი, ამონაწერი რეესტრიდან. საქართველოში, მედიაგარემო, ევროპის ქვეყნებთან შედარებით, ყველაზე ლიბერალურია. სხვადასხვა ქვეყნებში, ან ლიცენზირების რეჟიმია და ლიცენზიას კონკურსის წესით გასცემენ, ან ავტორიზაცია-რეგისტრაციის უფრო რთული პროცედურები მოქმედებს.

— ლიბერალურ მედიაგარემოს რისკებიც ახლავს. საქართველოში, სადაც ტერიტორიების დიდი ნაწილი ოკუპირებულია, რა მექანიზმი არსებობს, არასასურველი რუსული პროპაგანდის ასარიდებლად?

— ოკუპაციის კანონით, ოკუპირებულ ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობა აკრძალულია. ეს კანონი მაუწყებლობის ნაწილზეც მოქმედებს. პირი, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოღვაწეობს, სრულიად საქართველოს მასშტაბით ვერ დაიწყებს მაუწყებლობას. არსებობს კონტენტის რეგულირების საკითხიც, რაც ნიშნავს, რომ საავტორო და მომიჯნავე უფლებები დაცული უნდა იყოს. ნებისმიერმა პირმა, რომელსაც აქ მაუწყებლობა სურს, რუსული თუ უცხოური არხების ტელეპროდუქცია, ლეგალური გზით უნდა მოიპოვოს. ამას ჩვენც ვაკონტროლებთ. ასევე, არსებობს უსაფრთხოების რეგულაციები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობაში გაწერილია და მისი დარღვევის შემთხვევაში, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი დგება. ეს კომისიის კომპეტენცია არ არის. ასეთ საკითხებზე შესაბამისი უწყებები რეაგირებენ. უცხოურ არხებს ღია საეთერო მაუწყებლობა, ანუ პირდაპირი ტრანზიტი აკრძალული აქვთ — ჩვენი კანონმდებლობით, სიხშირული რესურსის გამოყენება უცხოური არხების ტრანზიტისთვის დაუშვებელია, თუმცა საკაბელო მაუწყებლობით აკრძალული არ არის. 2012 წლამდე, ლიცენზიისა და სიხშირის მოსაპოვებლად, საკმაოდ რთული პროცედურები უნდა გაგევლოთ, მაგრამ მაინც ვერ მოახერხებდით მაუწყებლობის დაწყებას, რადგან კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია თავისუფალ სიხშირეზე კონკურსს არ აცხადებდა.

— „იმედისა“ და „რუსთავი 2“-ის მაგალითს თუ განვაზოგადებთ, წინა ხელისუფლების პირობებში, პრაქტიკულად, რთული დასადგენი იყო, კონკრეტულად ვინ იყვნენ ტელევიზიების მფლობელები. რამდენად დაცულია საქართველოს ტელემედიაბაზარი ასეთი შემთხვევებისგან?

— დღეს, „რუსთავი 2“-ის მესაკუთრეების სასამართლო დავას ზოგიერთი საერთაშორისო მედია და ორგანიზაცია ისე აფასებს, თითქოს ხელისუფლებას ერთ-ერთი რეიტინგული არხის დახურვა სურს. ეს მოსაზრება ძირშივე მცდარია, რადგან თეორიულადაც კი გამორიცხულია, 2007 წლის „იმედის“ მოვლენები საქართველოში კიდევ ერთხელ განმეორდეს! შეუძლებელია, ხელისუფლებამ მოინდომოს და რომელიმე არხი დახუროს, რადგან ამისთვის საკანონმდებლო ბერკეტი არ გააჩნია. ლიცენზიას ვერ შეუჩერებენ, რადგან მაუწყებლობისთვის ლიცენზია საჭირო აღარ არის, ავტორიზაციის შეჩერება კი არ შეიძლება. გარდა ამისა, ხელისუფლებას რატომ უნდა მოუნდეს რომელიმე არხის დახურვა, როდესაც ამ არხის მფლობელებს მეორე დღესვე შეუძლიათ ერთის კი არა, ხუთი არხის ერთდროულად გახსნა? შესაბამისად, ხელისუფლების მიერ ტელევიზიის დახურვის თემა აზრსმოკლებულია. ეს ბრძოლა პოლიტიკურ-პიარკონტექსტშია გადატანილი, მაგრამ ყველაფერს აქვს საფუძველი. ის, რომ ხელისუფლებას „რუსთავი 2“-ის დახურვა უნდა, სრული იდიოტიზმი და მარაზმია!

— რამდენ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს ავტორიზაცია გავლილი საქართველოში და რამდენი არხი ფუნქციონირებს რეალურად?

— ტელემაუწყებლობაზე ავტორიზაცია გავლილი აქვს 114 მაუწყებელს, მაგრამ ეს პროცესი არ დასრულებულა. ახლა დაახლოებით, 20 მაუწყებელი ელოდება ავტორიზაციას და ჯამში, ბაზარზე 135 ტელემაუწყებელი გვეყოლება. აქედან 35 ღია საეთერო მაუწყებელია, რომლებიც ციფრული მულტიფლექსებით მაუწყებლობენ და მათი მიღება მოსახლეობას ანტენის საშუალებით შეუძლია. თვალსაჩინოებისთვის გეტყვით: დიდ ქვეყნებში, სადაც გაცილებით დიდი სარეკლამო ბაზარია და მეტი ტელევიზიის შენახვაა შესაძლებელი (გერმანია, ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი, იტალია) 25, მაქსიმუმ 30 არხზე მეტი ღია საეთერო მაუწყებელი არ არის.

— ტელევიზიების დამფუძნებლებისა და მფლობელების ვინაობა ცნობილია? მედიაპლურალიზმის საფარქვეშ, „ყარამანაშვილების სინდრომი“ კიდევ ხომ არ გაჩნდება მედიაბაზარზე?

— კარგი კითხვაა, მაგრამ მისი პასუხი კანონმდებლობაში უკვე დევს — ოფშორული კომპანიების მიერ, სატელევიზიო მაუწყებლობის ფლობა აკრძალულია! იურიდიული პირი, რომელიც ოფშორშია რეგისტრირებული, ავტორიზაციას ვერ გაივლის, რადგან დოკუმენტებში პირი იდენტიფიცირებული უნდა იყოს. პირი, რომელიც ხსნის ტელევიზიას, ვალდებულია, კომისიაში მფლობელების ქონებრივი დეკლარაცია წარადგინოს. შეუძლია გვთხოვოს, ეს ინფორმაცია კომერციულ საიდუმლოდ ვცნოთ. მიუხედავად ამისა, თუ მედიის ან საზოგადოების წარმომადგენლის მიერ, კონკრეტული კითხვა შემოვა კომისიაში, საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე, მაქსიმალურად ყველა ინფორმაციას მივაწვდით, რადგან ვფიქრობთ, ფინანსების თვალსაზრისით, მედია გამჭვირვალე უნდა იყოს. ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, მედიაპლურალიზმისა და ფინანსური გამჭვირვალობის შესახებ ერთიანი რეფორმა ჩატარდა და კანონი 2013 წელს მივიღეთ. მისი პათოსია — მნიშვნელობა არ აქვს ვინ ხსნის ტელევიზიას, მთავარია, მისი იდეოლოგია, ფინანსები და დამფუძნებლების ვინაობა გამჭვირვალე იყოს.

რაც შეეხება „ყარამანაშვილების სინდრომს“, ეს ნიშნავს, რომ ფიზიკურად არსებობს ადამიანი, რომელიც ტელეკომპანიის მფლობელია, მაგრამ იმის იქით რა ხდება, ანუ არის თუ არა რეალური მფლობელი, ან კონკრეტულად რომელ პარტიასთან აწარმოებს მოლაპარაკებას, ჩვენთვის უცნობია და ამ შემთხვევაში, კანონი უძლურია. ტრადიცია უნდა შეიქმნას, რომ თანდათან, როდესაც მედია განვითარდება, ასეთი საჭიროებები მოიხსნას. რატომ უნდა მოუნდეს ტელეკომპანიას, მფლობელების ვინაობა დამალოს, თუ ეს ნეგატიურ შედეგს მოუტანს და მაყურებელსაც დაკარგავს? ვფიქრობ, „ყარამანაშვილების სინდრომი“ სწორედ იმ გზით მოიხსნება, თუ რეალური მფლობელი დაინახავს, რომ მფლობელების გაუმჭვირვალობა აზიანებს მის ტელევიზიას. ამისკენ სამოქალაქო საზოგადოებამ და თავად მაყურებელმა უნდა უბიძგოს მაუწყებლებს.

— რა დამცავი მექანიზმი დევს კანონში, რომ ღია საეთერო მაუწყებლობა წარსულში ნასამართლევ, ან სულაც თაღლითს არ ჩაუვარდეს ხელში, განსაკუთრებით, უცხოეთის მოქალაქეს, რომელიც მას არასასურველი პროპაგანდისთვის გამოიყენებს?

— ხვალ, მედია ბიზნესად ნამდვილად იქცევა და არ გამორიცხოთ, უცხოელ ინვესტორებს ტელევიზიებში ინვესტირების სურვილი გაუჩნდეთ. რა რისკები არსებობს, რომ არარეზიდენტმა პირმა ტელევიზიაში ინვესტიცია ჩადოს? თუ მას ბიზნესინტერესი აქვს, ანუ ტელევიზიაში იმიტომ აბანდებს ფულს, რომ მომგებიანი და მაყურებელზე ორიენტირებული იყოს, ამაზე უკეთესი რა არის? რაც შეეხება იდეოლოგიას, რომელიც ქვეყნის უსაფრთხოებასთან წინააღმდეგობაში მოდის, მისი ალტერნატივა მხოლოდ საპირისპირო იდეოლოგიის პროპაგანდაა. დღეს მთელ ევროპას ეს დილემა აქვს — რუსულ პროპაგანდას, ანუ რუსულ არხებს ვერ კრძალავენ და დიდი ხანია ფიქრობენ, რა დაუპირისპირონ მათ. კონკრეტული გადაწყვეტილება ვერ მიიღეს. ერთადერთი, რაზეც შეთანხმდნენ, ალტერნატიული იდეოლოგიის მქონე ტელევიზიების შექმნაა. ტერორიზმისა და ძალადობის პროპაგანდა კი, კანონით ისედაც აკრძალულია.

— სიხშირეზე ადგილის მოსაპოვებლად და ღია საეთერო მაუწყებლობის დასაწყებად, რა თანხაა გადასახდელი?

— ეს ინფორმაცია ღიაა. პლატფორმაზე 1/15 ადგილი რომ მოიპოვოთ, 2.5 მეგაბიტი გჭირდებათ. 1 მეგაბიტის ღირებულება თვეში 8 900 ლარია დღგ-ს გარეშე. თუ ამას 2.5 მეგაბიტზე გავამრავლებთ, თვეში, საშუალოდ, 22 250 ლარი გამოდის დღგ-ს გარეშე, წელიწადში კი — დაახლოებით 300 000 ლარი.

— რომელი უცხოური სატელიტით სარგებლობენ ქართული ტელეარხები და რა ჯდება მასზე გასვლა?

— სხვადასხვა სატელიტს სხვადასხვა ფასი აქვს. როგორც ვიცი, ქართული არხების ნაწილი „თურქსატზე“, ნაწილი — „ევტელ სატზე“, ნაწილი — „აზერსატზე“ გადის. საშუალოდ რომ ავიღოთ, ერთი ტელეარხის სატელიტზე გავრცელება, თვეში, დაახლოებით, 10 000 აშშ დოლარზე ნაკლები არ ჯდება.

— ქვემო ქართლის ერთ-ერთი ტელეკომპანია „აზერსატზე“ გადის. თანხას არხის მფლობელი იხდის? ეს არხი ორენოვანია. რა გარანტიაა, რომ მაგალითად არჩევნების წინ, ქვემო ქართლში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს პირდაპირ მოუწოდონ, კონკრეტულად რომელ პარტიას დაუჭირონ მხარი?

— ვინ იხდის სატელიტზე ამ ფულს, ზეპირად პასუხის გაცემა გამიჭირდება. ნებისმიერი პირის დაინტერესების შემთხვევაში, დეტალურ ინფორმაციას გავემთ. იმას კი, წინასაარჩევნოდ რა არის აკრძალული, საარჩევნო კოდექსი არეგულირებს. წინასაარჩევნო კამპანიის დროს, მედიის მონიტორინგს კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისია ახორციელებს.

— ბევრი არხი „ობიექტივისა“ და სხვა კონკურენტი მაუწყებლების გადაცემებს გადასცემს... ეს რას ნიშნავს?

— პირველად მესმის, რადგან „ობიექტივი“ მულტიფლექსში ზის და ღია საეთერო მაუწყებელია. არ ვიცი ამას რა მიზანი აქვს, მაგრამ მოქმედი კანონმდებლობით, ნებისმიერი ტელევიზია, რომელიც ავტორიზაციას გაივლის, აუცილებლად უთითებს, რამდენ საათზე ნაკლები არ უნდა იყოს მისი საკუთარი პროდუქცია. როგორც წესი, ვურჩევთ, რომ საკუთარი გადაცემები 17-18 საათის განმავლობაში გადასცენ. კანონით, ავტორიზებულ პირს შეუძლია, საკუთარი ეთერი სხვა ავტორიზებულ პირს დაუთმოს, ოღონდ ეს გადაცემები უცვლელი სახით, ტრანზიტით უნდა გადასცეს. მთავარია, 17 საათი, საკუთარი გადაცემებით შეავსოს, დანარჩენი 7 საათი, შეუძლია, ტრანზიტით სხვა მაუწყებელი ჩართოს. შესაძლოა, „ობიექტივის“ გადაცემები ამ რეჟიმით გადის კონკურენტ არხებზე, მაგრამ სრულად, მთელი დღე, მხოლოდ „ობიექტივის“ ჩართვა კანონით დაუშვებელია!

ვერსიანიუსი

ქობულეთის შემოვლით გზაზე საავტომობილო გვირაბის მშენებლობა ავსტრიული მეთოდით მიმდინარეობს



რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ ირაკლი ლითანიშვილმა ქობულეთის საავტომობილო გვირაბის სამშენებლო სამუშაოები დაათვალიერა. საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, ქობულეთის შემოვლით გზაზე 295-კილომეტრიანი საავტომობილო გვირაბის მშენებლობა ახალი ავსტრიული მეთოდით მიმდინარეობს, რაც გვირაბის მშენებლობას ოპტიმალური სამაგრის შერჩევით ითვალისწინებს. სუსტი გრუნტის შემთხვევაში, ახალი, ავსტრიული მეთოდის გამოყენებით, დროებითი სამაგრების მოწყობა ხდება, რომელიც დეფორმაციის კუთხეებს ზუსტად აჩვენებს და შესაძლებლობას იძლევა, საბოლოო სამაგრების მშენებლობამდე მოხდეს კორექტირება. ქობულეთის შემოვლითი გზის მე-2 ლოტზე სულ 2 გვირაბი აშენდება. ამ ეტაპზე, პირველი გვირაბის სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტის შესაბამისად, 18-კილომეტრიან მონაკვეთზე დაგეგმილია ასფალტ-ბეტონის საფარის დაგება, 15 ხიდის, 2 გვირაბისა და 64 წყალგამტარი მილის მშენებლობა. პროექტს აზიის განვითარების ბანკი (ADB) აფინანსებს და მისი ღირებულება 209 000 ლარია.

„ინტერპრესნიუსი“

სურსათზე, უალკოჰოლო სასმელსა და ფარმაცევტულ ნაწარმზე ფასები გაიზარდა

წინა თვესთან შედარებით, 2015 წლის ოქტომბერში ფასები გაიზარდა სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე, ასევე ფარმაცევტულ ნაწარმზე.

სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა ინფლაციის შესახებ ინფორმაცია გამოაქვეყნა, რომლის თანახმადაც, წინა თვესთან შედარებით, 2015 წლის ოქტომბერში საქართველოში ინფლაციის დონემ 0,8% შეადგინა.

საქსტატის ინფორმაციით, მოცემულ პერიოდში ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასის ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ფასი გაიზარდა 0,9%-ით, რაც თვის ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში 0,26 პროცენტული პუნქტით აისახა. გაძვირდა ძირითადად შემდეგი ქვეჯგუფები: რძე, ყველი და კვერცხი (3,3%) და ბოსტნეული და ბაღჩეული (6,5%). ჯგუფში გაიაფდა ხილი და ყურძენი (-9,2%);

ჯანმრთელობის დაცვა: ჯგუფში დაფიქსირდა ფასების 2,0-პროცენტიანი ზრდა, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0,20 პროცენტული პუნქტით აისახა. ჯგუფში გაძვირებულია ძირითადად ფარმაცევტული ნაწარმი (6,7%);

სასტუმროები, კაფეები და რესტორნები: ჯგუფზე ფასები გაიზარდა 2,0 პროცენტით, რამაც 0,11 პროცენტული პუნქტით მოახდინა გავლენა ინდექსის მთლიან ცვლილებაზე.

საქსტატის ინფორმაციით, 2015 წლის ოქტომბერში 2014 წლის ოქტომბერთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 5,8% შეადგინა.

წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: 12-თვიან პერიოდში გაძვირდა 4,1%-ით და ჯგუფის წვლილმა წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში 1,27 პროცენტული პუნქტი შეადგინა. აღსანიშნავია ფასების მნიშვნელოვანი მატება შემდეგ ქვეჯგუფებზე: ხილი და ყურძენი (22,2%), ზეთი და ცხიმი (15,6%) და ყავა, ჩაი და კაკაო (10,4%);

ჯანმრთელობის დაცვა: ფასები გაიზარდა 11,1%-ით, რამაც წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 1,04 პროცენტული პუნქტით იქონია გავლენა. ფასები ძირითადად გაიზარდა ფარმაცევტულ ნაწარმზე (27,4%);

ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება: ჯგუფზე ფასები გაიზარდა 13,1 პროცენტით, რამაც წლიურ ინდექსზე 0,82 პროცენტული პუნქტით იქონია გავლენა;

საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები: ჯგუფში დაფიქსირდა ფასების 8,2-პროცენტიანი ზრდა, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0,70 პროცენტული პუნქტით აისახა. აღნიშნული ზრდა, ძირითადად, ელექტროენერგიის, აირისა და სათბობის სხვა სახეების ქვეჯგუფზე ფასების 10,5 პროცენტით ზრდით იყო გამოწვეული.

„ინტერპრესნიუსი“

ენგურჰესი ტუმბოებს კომპანია Гидромашина-სგან შეისყიდის

ენგურჰესი კომპანია Гидромашина-სგან ტუმბოებს შეისყიდის. ЦНС-90/135 ტიპის ტუმბოების მიწოდების შესახებ ენგურჰესსა და Гидромашина-ს შორის დასადები ხელშეკრულების პროექტი საქართველოს მთავრობამ მოიწონა. მთავრობის განკარგულებაში არ არის განმარტებული, რა რაოდენობის ტექნიკას და რა ფასად მიიღებს ენგურჰესი.

Гидромашина რუსეთში რეგისტრირებული კომპანია, რომელიც 2004 წელს დაფუძნდა და მანქანათმშენებლობის წამყვანი საწარმოების ოფიციალური პარტნიორია.

„ინტერპრესნიუსი“

„ესენი ვინ არიან?! რომ დავიხოცებით, ალბათ მერე მოგვაქცევენ ყურადღებას“

გიორგი სირაძე
„ვერსიისთვის“ გურიიდან

მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა, ატალახებული ქუჩები და უმოქმედო შადრევანი, უმუშევრობა — ასეთია ნასაკირალი თვალის ერთი შევლებით. ერთადერთი, რაც ძველი დიდებიდან ხელუხლებლადაა შემორჩენილი, ქართლის დედაა. დაბა ნასაკირალში შესვლისთანავე იგრძნობა მოწყენილობა და სიდუხჭირე, თუმცა ეს არაფერია იმასთან შედარებით, რომ ხალხი დანგრევის პირას მყოფ სახლებში ცხოვრობს.

სოფლის ცენტრში, ძირითადად ორსართულიანი კორპუსები დგას. ადგილობრივების თქმით, შენობები კომუნისტების დროს მაშინ აშენდა, როცა ვალეშდაბას მეურნეობაში დასაქმებულებს საცხოვრებელი ფართები გამოუყვეს. მრავალწლიანი შენობები უკვე ამორტიზებული, სახურავები გამოსაცვლელი და კედლები ჩამონგრეულია.

ადგილობრივები ამბობენ, რომ მთავრობას ეს დასახლება მხოლოდ წინასაარჩევნოდ ახსენდება. აქაურ მაცხოვრებლებს, მხოლოდ მაშინ სტუმრობენ, თუმცა, ვიზიტები დაპირებებს არ სცდება. ამის შემდეგ, დრო გადის და დაპირებები დაპირებებად, პრობლემები კი პრობლემებად რჩება.

ჭაღალიძეების სოციალურად გაჭირვებული ოჯახი ავარიულ ბინაში ათეული წლებია ცხოვრობს. საცხოვრებლის მდგომარეობა რამდენიმე თვის წინ გაუარესდა, როცა სახურავიდან ოთახებში წყალი ჩამოვიდა. სახლის დანგრევის საფრთხის ასაცილებლად ჭაღალიძეებმა, როგორც თავად ამბობენ, გამგეობას რამდენჯერმე მიმართეს. **თემურ ჭაღალიძის** განმარტებით, ადგილობრივმა ხელისუფლებამ სახურავი მხოლოდ ორ ბინას შეუცვალა: **„ავარიულ მდგომარეობაშია ბინები. წყალი ჩამოდის და ჩვენ არ გვაქვს საშუალება, სახურავი შევაკეთოთ. არაერთხელ მივმართეთ ხელისუფლებას. მხოლოდ ორი ბინა გადახურეს, მაგრამ ამბობენ, რომ წყალი იქაც ისევ ჩამოდის. ყოველ გაავდრებაზე სახლში ისე წვიმს, როგორც გარეთ. მეოთხე წელია ასეთ დღეში ვართ. მალე ჭერი თავზე დაგვემხობა. ძალიან უჭირს ხალხს — წყალი ფასიანია. რასაც ვმუშაობთ, წყლის გადასახადში მიდის. არავინ არაფრის გამკეთებელი არაა და სოფელს პატრონი არ ჰყავს. წინასაარჩევნოდ დაგვპირდნენ, სახლებს გადაგიხურავთო. მოვიდნენ ხელისუფლებაში და აღარც კი ვახსოვართ“.**

ნასაკირალის ცენტრში უამრავი სახლია დაზიანებული. როგორც მოსახლეობა აცხადებს, არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, ყურადღებას არავინ აქცევს. მოსახლეობა ეკონომიურ კრიზისზეც საუბრობს და ამბობს, რომ დღეს სოფელში, ყველაზე მწვავედ დასაქმების პრობლემა დგას. ადგილობრივები ყანაში და ციტრუსის ბაღებში, ქირაზე მუშაობით ირჩენენ თავს. წვიმის გამო ავეჯი, სამოსი და ქვეშაგები მობინადრეებს ეზოებში აქვთ გატანილი.

„ყველა ოთახში წყალი ჩამოდის, „ტაშტები“ გვაქვს შედგმული. ძალიან ცუდ მგმომარეობაში ვართ — ნახევრად დანგრეულ სახლში ვცხოვრობთ, ფანჯრების ნაცვლად „ჟეშტები“ გვაქვს მიჭედებული. რაც ის მთავრობა დაიშალა და ახალი მოვიდა, ასე ვწვალობთ. არსაიდან არ გვაძლევენ დახმარებას. ზამთარი მოვიდა და შეშა არ მაქვს, დედა რომ გარდამეცვალა, 100-ლარიანი დახმარებაც კი არ მომცეს, ქელეხი მეზობელთან გავაკეთე, აქ ვერავინ შემოვიდოდა, ინგრევა სახლი. ძალიან მიჭირს. გაუსაძლის დღეში ვართ. ამ სოფელში თითქმის ყველას უჭირს. სამუშაო არსადაა. თუ ვინმე დაგვიძახებს ყანაში სიმინდის მოტეხვაზე ან მანდარინის კრეფაზე, ესაა ჩვენი სამსახური და შემოსავალი. რა გააკეთა ამ ხელისუფლებამ? — ამაზე პასუხი არ გვაქვს და ეს ისედაც ყველასთვის გასაგებია“, — აცხადებს ნასაკირალში მცხოვრები **თინა ზობიანი.**

გაუსაძლის პირობებზე საუბრობს, **შუშანა კოჩალიძეც: „ჭერი გვენგრევა თავზე. ასეთ პირობებში რომ გაიზრდება ბავშვი, ჯანმრთელი როგორ იქნება? სოციალური დახმარება არ მოგვცეს, პენსია ჯერ არ გვაქვს, გაჭირვებაში ვცხოვრობთ... ბინაში წყალი ჩამოდის. თუ ხელისუფლებამ არ მოგვაქცია ყურადღება, რა შესაძლებლობა გვაქვს, ბინა რით უნდა გადავხუროთ? ხუთსულიანი ოჯახი, მცირეწლოვან ბავშვებთან ერთად, ასეთ გაუსაძლის პირობებში ვცხოვრობთ. თითქმის ყველაფერი პრობლემაა სოფელში. გზა ჩვენ არ გვაქვს და სამსახური. უჭირს ხალხს. ვისაც შეუძლია, თურქეთშია წასული და იქიდან არჩენს ოჯახს. მე, ძირითადად, ქირაზე სამუშაოდ დავდივარ. ესაა ჩემი სამსახური, სადაც 20-25 ლარს გვიხდიან. ესაა ჩვენი შემოსავალი და საარსებო. მეუღლე და შვილი ავადმყოფი მყავს. იძულებული ვარ, მე ვიმუშაო. არაფერი გაუკეთებია ამ ხელისუფლებას! რა მოლოდინიც გვქონდა, ყველა დაპირებად დარჩა!“**

გულნაზი ცაცანიძე რამდენიმე წელია მეუღლესთან ერთად, შვილებთან ცხოვრობს. ამბობს, რომ თავისი ბინა ავარიულ მდგომარეობაში და შესაძლოა, დაინგრეს: **„ისეთი დანგრეულია ჩემი ოთახები, იძულებული ვარ, შვილთან ვიცხოვროთ. იქეთ ბინები გადახურეს, მაგრამ ამბობენ, წყალი მაინც ჩამოდისო. დამსკდარია კედლები და გვეშინია, თავზე არ ჩამოგვენგრეს ჭერი. იძულებული ვიყავი სახლი დამეცალა. ვართ სოციალურად დაუცველი. სამი მცირეწლოვანი შვილიშვილი მყავს. შეტანილი გვაქვს განცხადება. გვპირდებიან, დღეს-ხვალ მოგხედავთო, მაგრამ არაფერი ჩანს. ზამთარს როგორ გადავიტანთ, არ ვიცი“.**

კიდევ ერთი ადგილობრივი, რომელიც გაუსაძლის საცხოვრებელ პირობებზე და ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობაზე საუბრობს, **ტატიანა მიზმანოვაა.** მისი თქმით, ნასაკირალში ცხოვრება დღითი დღე გაუსაძლი ხდება და მათი პრობლემებით არავინ ინტერესდება. მაზმანოვა სოფლის პრობლემებზე გვიამბობს და ხელისუფლებას წინასაარჩევნო დაპირებებს ახსენებს: **„ძალიან ცუდად ვცხოვრობთ. უკიდურეს მდგომარეობაში ვართ. არ ვმუშაობთ ოჯახში არცერთი და რითი უნდა ვიარსებოთ? არავინ გვაქცევს ყურადღებას. არც ადგილობრივი და არც ცენტრალური. ყველას ფეხებზე ვკიდივართ, ეს რა მთავრობა მოვიდა, რა დღეში ვართ, კაცმა არ იცის. ვიღუპებით, ხელისუფლებას კი, სძინავს! ბინა, სადაც ვცხოვრობთ, ინგრევა და ყურადღებას არავინ გვაქცევს. რომ დავიხოცებით, მერე მოვლენ. არ ვიცი, რა გვეშველება, რას უყურებს ხალხი და რატომ არ აპროტესტებს ხელისუფლების ამ უყურადღებობას? ისეთი იმედი გვქონდა ამ ხელისუფლების, ვერც კი გეტყვით და ეს რა ხალხი მოვიდა, ესენი ვინ არიან? ის მთავრობა უკეთესი იყო. გაიხედეთ, რა დღეში ცხოვრობს ხალხი. ქუხდა ჩვენი დასახლება და ახლა შიმშილის ზღვარზე ვართ. ოთხი სული ერთი ადამიანის პენსიით ვცხოვრობთ“.**

„არ უნდა იფიქროთ, რომ სტიქიის მერე ზოოპარკში საინტერესო და სანახავი აღარაფერია“

მაკა ლომაძე
555-27-95-13



13 ივნისის „ვერეს ტრაგედიამ“ მსოფლიო შეძრა. გულგრილი არ დარჩენილა არცერთი წამყვანი საერთაშორისო არხი. ყურადღების ცენტრში მოექცა, თბილისის ზოოპარკიც. სხვადასხვა ქვეყნების ზოოპარკების სპეციალისტებმა საოცარი სოლიდარობა გამოაცხადეს. ზოგი, დაგვპირდა, რომ სხვადასხვა ჯიშის ცხოველებს გვისახსოვრებდა, ზოგმაც სხვადასხვა სახის დახმარება შემოგვთავაზა. სწორედ ამ სოლიდარობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია ის, რომ რამდენიმე კვირის წინ, საქართველოში, ზოოპარკის ცნობილი დიზაინერი, ჰოლანდიელი ერიკ ფონ ფლიტი ჩამოვიდა. ბატონი ერიკი, თავისი ინიციატივით, სრულიად უანგაროდ ესტუმრა ჩვენს დედაქალაქს. როგორც ზოოპარკის ადმინისტრაცია ამბობს, მან ძველ და ახალ ზოოპარკში ვოლიერების მონახაზები გააკეთა. ქართველი სპეციალისტები იმედოვნებენ, რომ ჰოლანდიელის 21-წლიანი გამოცდილება წაადგებათ. ჰოლანდიელ დიზაინერის სახელს უკავშირდება მსოფლიოს რამდენიმე ცნობილი ზოოპარკის დიზაინის შექმნა. მათ შორისაა, რა თქმა უნდა, ჰოლანდიის, ასევე ბელგიის, გერმანიის, გაერთიანებული სამეფოსა და ისრაელის ზოოპარკები. „ვერსია“ გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს ერიკ ფონ ფლიტთან.

— ბატონო ერიკ, რამ გადაგაწყვეტინათ საქართველოში ჩამოსვლა?

— 13 ივნისის სტიქიამ შემძრა. თბილისის ზოოპარკში დატრიალებული ტრაგედია, ევროპული ზოოპარკების ისტორიაში, მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიის ზოოპარკების თავზე განხორციელებული საჰაერო რეიდების მერე, ყველაზე დიდი კატასტროფაა. პროფესიულ საზოგადოებაში, ერთმანეთს ყოველთვის ვეხმარებით. ამიტომაც, ჩამოვედი თბილისში, რომ გვერდში ამოვდგომოდი ქართველ კოლეგებს ახალი ზოოპარკის აშენების პროცესში ეფექტური გადაწყვეტილებების მიღებაში.

— რა პირობები დაგხვდათ სტიქიისგან განადგურებულ ზოოპარკში?

— მხოლოდ მას მერე, რაც ჩემი თვალით დავინახე ის აოხრებული ტერიტორია, ტალახი და დაცარიელებული გალიები, შევძელი, ნათლად წარმომედგინა, რა საშინელება დატრიალდა იმ ღამით ზოოპარკში.

— თბილისის ზოოპარკის ხელმძღვანელობა ბოლო დროს მნახველთა ნაკლებობას უჩივის. არადა, ზოოპარკის შემოსავლის ერთადერთი წყარო, დამთვალიერებლების მიერ, ბილეთებში გადახდილი თანხაა.

— ზოოპარკში მოსვლის მიზეზი არასოდეს გამოილევა. ხალხმა არ უნდა იფიქროს, რომ იქ საინტერესო და სანახავი აღარაფერია. გარდა იმ დანაკარგისა, თბილისის ზოოლოგიურ პარკს შენაძენიც აქვს. მათ შორის არის ძალიან ვრცელი და ბუნებრივი სივრცე ავაზებისთვის; ასევე ლომებს აქვთ არაჩვეულებრივი ველური და მცენარეული საფარით მდიდარი ტერიტორია. ისინი, დამთვალიერებლებისგან შუშის ფანჯრით არიან იზოლირებულნი და შეგიძლიათ მათ 2 სანტიმეტრის დისტანციაზე მიუახლოვდეთ კიდეც.

— თუ მოგეწონათ ადგილი, სადაც ახალი ზოოპარკი უნდა განთავსდეს და რამდენად შეესაბამება ის ევროპულ სტანდარტებს?



— ეს ადგილი, უბრალოდ, შესანიშნავია! მთები, რომლებიც ფონს ქმნიან, კილიმანჯაროს დაემსგავსება მას მერე, რაც ეს ადგილი ჟირაფების, ზებრებისა და ანტილოპების ჯოგების სახლი გახდება.

— თქვენი აზრით, თბილისის ზოოპარკი მალე გახდება მსოფლიო ზოოპარკების ქსელის ნაწილი?

— თბილისის ზოოპარკი უკვე არის ევროპული ზოოპარკების ასოციაციის წევრობის კანდიდატი. თქვენმა დირექტორმა და მისმა თანამშრომლებმა კარგად იციან, რა უნდათ. მათი ხედვა რეალისტურია. სრულყოფილი არცერთი ზოოპარკია და ნებისმიერს, მუდმივი გაუმჯობესება სჭირდება. ახლა, როცა ძველ ზოოპარკში განახლებებია და ახლისთვის სერიოზული და რეალისტური გეგმა არსებობს, ვფიქრობ, თქვენი ევროპულ ზოოპარკებში გაწევრიანება მხოლოდ რამდენიმე წლის პერსპექტივაა.

P.S. მთავრობის სხდომის გადაწყვეტილებით, ახალი ზოოპარკი თბილისის ზღვის მიმდებარედ, დენდროლოგიური პარკის ტერიტორიაზე, განთავსდება. საწყისი თანხები მერიამ გამოყო. თბილისის ზოოპარკში აცხადებენ, რომ მიმდინარეობს თანხების მოზიდვა. სავარაუდოდ, ახალი ზოოპარკი 3 წელიწადში გაიხსნება.

მთავრობამ მართლმადიდებელ ეკლესიას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა გადასცა

საქართველოს მთავრობამ სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა გადასცა. მთავრობის განკარგულების თანახმად, ეკლესიას უსასყიდლოდ გადაეცა 14 ერთეული ტრაქტორი, ერთი სათიბელა, 7 სამფრთიანი და 1 ხუთფრთიანი გუთანი, დისკებიანი ფარცხი, 5 კულტივატორი და 3 ერთეული სიმინდის სათესი.

საქართველოს მთავრობის განკარგულება „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის ფორმით პრივატიზების შესახებ“, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი აწერს ხელს, მთავრობის ადმინისტრაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

„ინტერპრესნიუსი“

ბერი ანდრიას ფონდის შვილობილი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში სტაჟირებას გაივლის

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი კახა კახიშვილი სოლიდური სიმსივნით დაავადებულ სტუდენტს, 18 წლის ოთო გოგილაშვილის შეხვდა.

კახა კახიშვილმა იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში სტაჟიორად მიიწვია. ოთო გოგილაშვილი ორთვიან სტაჟირებას სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტში გაივლის.

შეხვედრაზე მინისტრი სტუმარს პენიტენციურ სისტემაში მიმდინარე რეფორმებსა და განხორციელებულ პროექტებზე ესაუბრა და წარმატებული სტაჟირება უსურვა.

ოთო გოგილაშვილმა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში სტუმრობისა და სისტემის ახლოს გაცნობის სურვილი კახა კახიშვილის ბერი ანდრიას ფონდში სტუმრობისას გამოთქვა.

„პია“

1. მზის ღმერთი ბერძნულ მითოლოგ.
2. იაპონური ავტომარკა
3.რქებ-დასხრილი ხარი
4.თანა-მედროვე დანიელი მწერალი
5.მაჰმა-დიანთა რელიგია
6. შესვენება თეატრში
7. სიმინდის შესანახი ნაგებობა
8. კრივის მოედანი
9. კათო-ლიკეთა მღვდელი პოლონეთში
10. აგული ერისთავის მამა
11.ყვავილ. დაწყობის იაპონური ხელოვნება
12. წმინდა მოგება ძიუდოში
13.პორ-ტუგალიის დედაქალაქი
14. მობი-ლური კომ-პიუტერი
15. ილიას „...-ადამი-ანი!?“
16. იტალიის „ახალი“ ქალაქი
17.დიდი ფრინველის ჰაერში ლივლივი
18. მამაკაცის საჩხიანი ქუდი
19. ჟნგრელი მხატვარი
20. წილი საერთო საქმეში
21. გერმანელი მწერალი
22.ტანსაცმლის გულისპირის შესაკრავი, ქინძისთავი
23. ირლანდიის თვითსა-ხელწოდება
24. ოდისევსის შვილის აღ-მზრდელი
25. ინდიელთა ფეხსაცმელი
26. მცენა-რის ზრდის პროცესი
27.უჯრედის გაყოფის ერთ-ერთი სახეობა
28. ჩეხეთის დედაქალაქი
29. „ბურატ. თავგადა-სავლის“ პერსონაჟი
30. გამარჯვ. ქალღმერთი რომაულ მითოლოგ.
31.ზევსის მერიქიფე
32.მომკილი თავთ.კონა
33. სამი მუსიკოსის ანსამბლი
34. საფოსტო გზავნილი
35. მხარე, მიდამო
36.ამერ. მსახიობი ... ნოლტი
37. სურნე-ლოვანი მწვანილი
38. სამ-კურნალო მცენარე
39.ეგზეკის ამოფრქვევით განადგურ. ქალაქი
40. სანე-ლებელი მცენარე
41.მეურვის მიერ გან-კარგული ქონება
42. დამუხ-ტული ატომი
43.გერმან. საუნივერ-სიტეტო ქალაქი
44. მიმართვა ფრანგი მეფისადმი
45.საწერი ქაღალდის საზომი ერთეული
46. სუმოს საჭიდაო მოედანი
47. ჰუნების წინამ-ძღოლი
48. რუსული როკ-ჯგუფი
49. რასმა-ნინოვის ოპერა
50. სოფელი ზუგდიდის რაიონში
51. ქალაქი ირანში
52. ცხენის კუდის ბე-წვი
53. ინგლისელი ასტრონომი
54. დიაოხის სამეფოს დედაქალაქი
55. ორი წერტილი კამათელზე
56.იგივეა, რაც საპყრო-ბილე
57. იესო-ქრისტეს გამყიდველი
58. შალის მკვრივი ქსოვილი
59.ნიკო ფიროსმანის შინაურული სახელი
60. დოლარის მეასედი
61. ინგ-ლისელი ზღვაოსანი
62. სპორტული ნაწარმის ფირმა
63. ცეცხ-ლის მნათი ნაწილი
64.მადამ ბოვარის სახელი
65.ნოტიო და ჩა-ხურებული ფქვილი
66. ჯაავშნიანი ამფიბია
67. ანტილოპას სახეობა

ახალი აბები გრიპს ერთ დღეში განკურნავს

პერაპარატმა, რომელსაც შეძულია გრიპის ვირუსი ერთ დღეში დაამარცხოს, წარმატებით გაიარა პირველი კლინიკური ცდები იაპონიაში და აჩვენა თავისი ეფექტურობა. როგორც ადგილობრივი პრესა წერს, ახალი პრეპარატი ხელს უშლის ვირუსთან იმ ფერმენტების მისვლას, რაც აუცილებელია მისი გამრავლებისთვის. ამის წყალობით, საბოლოო გამოჯანმრთელებისთვის საკმარისია, პრეპარატი ავადმყოფმა მხოლოდ ერთი დღის განმავლობაში მიიღოს. ცდების მეორე ეტაპი უკვე მომავალი თვისთვის იგეგმება, როცა გრიპით დაავადებულთა რიცხვი მკვეთრად იზრდება. ახალ პრეპარატს რამდენიმე ასეულ პაციენტზე გამოცდიან. იაპონიის ჯანდაცვის სამინისტრო, წამლის ეფექტურობისა და უსაფრთხოების დადასტურების შემთხვევაში, მისი ლიცენზირებისთვის შესაბამის პროცედურას ჩაატარებს. საბოლოოდ, გრიპის სამკურნალო წამლის გაყიდვები, სავარაუდოდ, 2018 წლიდან დაიწყება.

საკუთარი შვილის ბიძა აღმოჩნდა

34 წლის ამერიკელმა, რომელმაც მამობის დასადგენი ტესტი ჩაიტარა, აღმოაჩინა, რომ საკუთარი შვილისთვის მამა კი არა, ბიძაა. ბავშვის ბიოლოგიური მამა კი მისი ტყუპი ძმაა, რომელიც მკვდარი დაიბადა. როგორც ადგილობრივი პრესა წერს, ვაშინგტონლემა ცოლ-ქმარმა დნმ-ტესტის გაკეთება მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც გაირკვა, რომ მათი ბიჭის სისხლის ჯგუფი მშობლებისას არ ემთხვევა. ცოლ-ქმარი უშვილობას მკურნალობდა და შვილის გაჩენა ექსტრაკორპორალური განაყოფიერებით შეძლეს. თუმცა, ტესტმა აჩვენა, რომ ბავშვის მამა სინამდვილეში, მისი ბიძაა — გენები მხოლოდ 10%-ით დაემთხვა. წინა თაობების გამოკვლევის შემდეგ, ექიმები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ბიჭის მამა ტყუპისცალი ძმაა. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ლაპარაკია უიშვიათეს გენეტიკურ ანომალიაზე, რომელსაც „ადამიანურ ქიმერას“ უწოდებენ. ძალიან ხშირად, თუკი მსგავსი „გენების ცვლა“ დედის მუცელში მოხდა, მის შესახებ ვერ იგებენ. ისტორიას ახსოვს 13 წლის წინანდელი შემთხვევა, როცა ქალი საკუთარი შვილის ბიოლოგიური დედა კი არა, დეიდა აღმოჩნდა. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ მომავალში შესაძლოა, მსგავსი შემთხვევები გახშირდეს, რადგან ფართოდაა გავრცელებული ხელოვნური განაყოფიერება.

სამსახურში პორნოგრაფიის ყურების ნება მისცეს

იტალიის უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა, რომ სამსახურში ადამიანს შეუძლია, შესვენების დროს, უყუროს პორნოგრაფიული ხასიათის ფილმებს და ეს ვერ გახდება მისი სამუშაოდან გათავისუფლების საფუძველი. ასეთი გადაწყვეტილება თემიდამ „ფიატის“ თანამშრომლის სარჩელის გამო მიიღო. იგი სექსუალური ხასიათის ფილმიდან ნაწყვეტით „ტკბებოდა“ შესვენების დროს და კოლეგებს ხელს არ უშლიდა, — განაცხადა მოსამართლემ. უმაღლესმა სასამართლო ინსტანციამ დაადგინა, რომ აპენინების მცხოვრებთ შეუძლიათ თავისუფლად გამოიყენონ შესვენება და გააკეთონ ის, რაც სურთ, თუკი ეს ქმედება არ აისახება მათი მუშაობის ხარისხზე. თავად ინციდენტი კი სიცილიურ ქალაქში მოხდა. საავტომობილო კომპანიის თანამშრომელი შესვენებისას, სამუშაო ადგილზე, ნოუთბუქში პორნოგრაფიული ფილმების ყურების დროს გამოიჭირეს, რაც სამსახურიდან გათავისფულების მიზეზი გახდა.

სუდოკუ

ადვილი

	9						3	
		1	2					
7							9	8
	4	7	1	2				
		3	8		9	6		
				7	3	1	4	
6	1							9
					4	5		
	5						2	

სტანდარტი

								1
		5	8	6			3	
3				4	9		8	
8	6					2		
		1				7		
		9					5	4
	5		9	3				8
	2			8	5	3		
7								

რთული

5			7	6			2	
			3			6		
		3					7	5
1		9	8	7			6	
	2			5	6	9		8
4	9					1		
		2			4			
	7			9	8			4

ექსპერტი

9						8		
		7			1		4	9
	1		9				6	
			2		6		7	5
		6				2		
1	5		4		3			
	6				2		8	
8	4		7			1		
		9						4

რძე ჯეკეცარიანელებისთვის

კაცობრიობისთვის დიდი ხანია ცნობილია რძის პროდუქციის სხვადასხვა შემცვლელები, ცოტა ხნის წინ კი სწავლულებმა ხელოვნური რძის კიდევ ერთი ვარიანტი წარმოადგინეს — წინამორბედებისგან მისი მთავარი სხვაობა ისაა, რომ მისი წარმოებისთვის ძროხა საერთოდ არ არის საჭირო. ამ ინოვაციურ პროდუქტში შენარჩუნებულია სასარგებლო ცილები, ცხიმები, ვიტამინები და მინერალები. თუმცა, მასში არ არის ლაქტოზა. სიახლის ავტორები ირწმუნებიან, რომ ხელოვნურ რძეს ისეთივე გემო აქვს, როგორც ნატურალურს და ეს კიდევ ერთი განმასხვავებელი ნიშანია სოიოსა თუ სხვა ანალოგებისგან. რძეს Muufri უწოდეს, რაც „ძროხისგან თავისუფალს“ ნიშნავს. პროდუქტი საფუარისა და ბოსტნეულისგან მზადდება, კალციუმი, კალიუმი და შაქარი ცალკე ემატება. როგორც ვარაუდობენ, ახალი ხელოვნური რძის მასობრივი წარმოება 2017 წლისთვის დაიწყება.

ბრიტანული სამზარეულო საზიანოა

ტრადიციული ინგლისური სამზარეულო, ადამიანის ორგანიზმზე უარყოფითი გავლენის გამო, შეიძლება თამბაქოს მოწევას შევადაროთ, — ამის თაობაზე, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებზე დაყრდნობით, ბრიტანული პრესა წერს. სტატიაში აღნიშნულია, რომ ბეკონი, ბურგერები და სოსისები, რაც ასე პოპულარულია ნისლიან ალბიონზე, შეიძლება ონკოლოგიური დაავადებების განვითარების მაპროვოცირებლად ჩაითვალოს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ინფორმაციით, გადამუშავებული ხორცის ეს პროდუქტი შეიცავს ისეთ ნივთიერებებს, რომელთაც სიმსივნის გამოწვევა შეუძლიათ. დიდ ბრიტანეთში ონკოლოგიური დაავადებით, ყოველწლიურად 150 ათასი ადამიანი კვდება. ყველაზე მეტად ლეტალურ შედეგს ფილტვის კიბო იწვევს, მეორე ადგილზე კი ნაწლავების ავთვისებიანი სიმსივნეებია. ექსპერტების მოსაზრებით, ამ საშინელი დაავადებისთვის თავის არიდება სწორი კვებით არის შესაძლებელი.

ყველაგე საშიში ოფისიანტის პროფესიაა

ჩინელმა სწავლულებმა გამოკვლევა ჩაატარეს, რომლის მიხედვითაც ყველაზე სტრესული პროფესიების სია შეადგინეს. ყველა ეს პროფესია ნეგატიურ გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე, ნაკლებადანაზღაურებადია, დიდ დატვირთვას მოითხოვს და ასევე, ზრდის გულის დაავადებების რისკს. ჩინელი სპეციალისტები ერთ-ერთ ასეთ, ყველაზე საშიშ პროფესიად ოფიციანტობას ასახელებენ. მეცნიერ-მუშაკები და არქიტექტორები არ არიან ასეთი სტრესის ქვეშ, ამიტომაც ნაკლებად აწუხებთ გულის დაავადებები. ის ადამიანები, რომლებიც ცვლებში მუშაობენ, სიმსივნეების განვითარების რისკის ქვეშ არიან. მკვლევარები იმასაც აღნიშნავენ, რომ ვისი სამუშაოც „შავ სიაში“ მოხვდა, ნაკლებად აქცევენ ყურადღებას საკუთარ ჯანმრთელობას, აქვთ მავნე ჩვევები (მოწევა, სასმელი), მიირთმევენ მავნე საკვებს და არ მისდევენ სპორტს. სწავლულების კვლევაში 138 782 ადამიანი მონაწილეობდა. მათ 3-დან 17 წლამდე აკვირდებოდნენ. აღმოჩნდა, რომ ყვლაზე დიდი სტრესის ქვეშ ექცევიან მომსახურების სფეროს წარმომადგენლები.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

1	8	5	7	3	2	6	9	4
4	7	6	9	1	5	8	3	2
9	2	3	8	6	4	5	1	7
2	5	9	4	8	7	1	6	3
8	3	4	6	2	1	9	7	5
6	1	7	5	9	3	4	2	8
5	4	2	1	7	9	3	8	6
7	6	1	3	5	8	2	4	9
3	9	8	2	4	6	7	5	1

სტანდარტი

2	4	6	3	5	9	7	1	8
5	7	1	8	6	2	9	3	4
3	9	8	7	4	1	2	6	5
6	8	4	1	2	3	5	9	7
1	5	7	9	8	6	4	2	3
9	3	2	5	7	4	6	8	1
8	2	5	6	1	7	3	4	9
4	1	9	2	3	5	8	7	6
7	6	3	4	9	8	1	5	2

რთული

1	4	2	9	3	8	7	5	6
9	6	8	7	2	5	4	3	1
7	5	3	6	4	1	2	9	8
8	3	7	2	5	9	1	6	4
4	2	5	3	1	6	9	8	7
6	1	9	8	7	4	3	2	5
5	9	1	4	8	3	6	7	2
2	8	6	1	9	7	5	4	3
3	7	4	5	6	2	8	1	9

ექსპერტი

5	8	4	7	1	3	9	6	2
2	9	1	6	5	8	4	7	3
3	7	6	9	4	2	5	8	1
9	6	5	8	3	4	2	1	7
1	4	3	5	2	7	8	9	6
8	2	7	1	9	6	3	5	4
7	5	2	4	8	1	6	3	9
6	3	9	2	7	5	1	4	8
4	1	8	3	6	9	7	2	5

მე-13 გვერდი: 1. ველვეტი; 2. ბანკეტი; 3. ვერლიბრი; 4. ლენა; 5. ელევატორი; 6. იპონი; 7. ბომბი; 8. ნარდი; 9. ეგზემა; 10. იკაო; 11. ყია; 12. აია; 13. ისრიმი; 14. კიკო; 15. ამბროზია; 16. ცარიზმი; 17. ბუდუარი; 18. არიადნე; 19. იაკი; 20. ამბიცია; 21. ბიუსტი; 22. ძუა; 23. ბლეფი; 24. აიოვა; 25. ულმი; 26. „კორსარი“; 27. ბუონაროტი; 28. რძე; 29. დურდო; 30. ფრაუ; 31. ბაზენი; 32. ოქსინო; 33. სუ; 34. კოატა; 35. უშუ; 36. ვარდო; 37. ოკეი; 38. ბანზაი; 39. აგორა; 40. ანა; 41. დაიმი; 42. ოლიფა; 43. ქაბული; 44. ლოქვა; 45. ზარზმა; 46. საია; 47. აურა; 48. არმაღანი; 49. მირონი; 50. ელი; 51. ტირე; 52. იოგურტი; 53. აღაზა; 54. ნიკე; 55. სნო; 56. უფა; 57. ნატო; 58. გოია; 59. გაზა; 60. შუ; 61. ლი; 62. ოფი; 63. აგა; 64. ოძელაშვილი; 65. ფაფანაკი.

მე-14 გვერდი: 1. ფლოქვი; 2. ლოტოსი; 3. ქოქოსი; 4. „ნესტლე“; 5. ეკლამფსია; 6. ტუგრიკი; 7. სტიქსი; 8. იპოლიტე; 9. სოსისი; 10. ელეგია; 11. პომადა; 12. რაბინი; 13. ოსტინი; 14. ამპირი; 15. ფოკა; 16. ივანე; 17. ტიპი; 18. იფანი; 19. გიბონი; 20. ბიმსი; 21. კაკაჩია; 22. ონომასტიკა; 23. შილინგი; 24. კრის პაინი; 25. კლიო; 26. ფშატი; 27. რელიეფი; 28. იადონი; 29. პაიკი; 30. ინა; 31. სტამბა; 32. მენი; 33. კიი; 34. ოსლო; 35. ამიმია; 36. ალი; 37. ნეი; 38. სუმო; 39. კონკა; 40. სპიჩი; 41. იენი; 42. იენი; 43. ელდა; 44. პიროპი; 45. ვაპორეტო; 46. ამია; 47. შაშხი; 48. ელვის; 49. ნიყვი; 50. მინი; 51. იკი; 52. დარი; 53. მესია; 54. ყვრიმალი; 55. ანონა; 56. შარშან; 57. კასპი; 58. ნეგრი; 59. ნაირა; 60. იაკი; 61. ლავრა; 62. პლაზმა; 63. კანაპე; 64. კლანი; 65. ტლუ; 66. მიაუ; 67. კარაკალა; 68. შუნი; 69. გენერალი; 70. მატრიკა; 71. მინდანაო; 72. ზებრა; 73. ქვაბი; 74. ბელგია; 75. კაა; 76. იაგრი; 77. ფხა; 78. რკო; 79. კუბატურა; 80. ბუი; 81. რტო; 82. დანაე; 83. ტუია; 84. ტორფი; 85. აბი; 86. ურა; 87. ეტი.

1. ამა თუ იმ ენის ასოების ერთობლიობა
2. ჩრჩილის საწინააღმდეგო ნივთიერება
3. ისლამური ტერორისტული ორგანიზაცია
4.სპორტული მოედნის ერთ-ერთი მხარე
5. ახლადგამორეკილი თევზი
6.ყვავილების მიერ გამოყოფილი ტკბილი წვენი
7. სიტყვის შემადგენელი ელემენტი
8.პრეზიდენტის მიერ დადებული აკრძალვა
9. განაყოფიერებული კვერცხუჯრედი
10.უეცრად წარმოშობილი სულიერი ემოცია
11. ფრანგი ნობელიანტი მწერალი
12. წიწვოვან მცენარეთა წვენი
13. საბანკო შეტყობინება
14. ზრდადაუმთავრებელი ქათამი
15. კანტორა
16.ნახევრადძვირფასი ქვა
17. დიდი ცხოველი კიდური
18. ოფიციალური ხასიათის სტუმრობა
19. დიდი ფოჩებიანი შალი
20. გამოუწვავი აგური
21. ურჩი მამის გადასახადი
22.სატანის სინონიმი ქრისტიანულ რელიგიაში
23. კუნთოვანი ქსოვილის სიმსივნე
24. რისამე უზრუნველყოფა
25. ფარული საძრახისი მოქმედება
26. ინგლისელი მუსიკოსი
27. სოფელი ყაზბეგის რაიონში
28. გეოგრაფიული რუკების კრებული
29. ამერიკელი მსახიობი
30.ბრალდებულის წამება შუა საუკუნ. ევროპაში
31. სქესის უქონლობა
32.გამჭვირვალე ბადე ქალის ქუდზე
33. შალაშინის სახეობა
34. ძმები ხერხეულიძეების რაოდენობა
35.კბილის ამოღებისას ხმარებული გამაყუჩ. მედიკ.
36. იტალიელი კინოკომპოზიტორი
37.სამცხის დიდი აზნაური გიორგი ...
38.ფეხბურთის კარში გატანილი ბურთი
39. დღეის მომდევნო დღე ანუ როდის?
40. შოტლანდიელი ფილოსოფოსი
41. ფურუნკულის ქართული სახელწოდება
42.მობილ. ტელეფონების ფირნი მარკა
43.სხვადასხვა საკრავზე შემსრ. მუსიკოსთა კოლექტივი
44.ზღვისპირა კურორტი კრასნოდარის მხარეში
45. ფრინველთა დასაჭერი მოწყობილობა
46. ტირიფისებრთა ოჯახის ხე
47. ალალბედზე მოქმედება
48. სიმებიანი მუსიკალური საკრავი
49.შლიმანის ქალაქი
50. ბარბადოს. მომღერალი
51. მაუგლის მეგობარი დათვი
52. ძველრომაელთა სამოსი
53. გვერდზე ცურვის ხერხი
54. ბიბლიური იაკობის ცოლი
55. წყალქვეშა კლდე
56. ცნობილი რუსი მეიგავე
57.მდინარე გერმანიის დედაქალაქში
58. თოვლის კაცი
59. დიდი იტალიელი კინორეჟისორი
60. წყვილთა სამეჯლისო ცეკვა
61. ოპერის სიტყვიერი ტექსტი
62. ქალაქი თურქეთში
63.ნაპოლეონის მარშალი
64.ნამდვილად არსებ. ნივთი
65.მიმართვა ინგლისელი ქალიშვილისადმი
66. მადლობა - იაპონურად
67. ინკვიზიციის უმცროსი მსახური
68. სამოას დედაქალაქი
69. ისტ. მხარე სამხ. საქართველოში
70. ცეცხლის ღვთაება ინდუიზმში
71.ფრანგი მსახიობი ... რიშარი
72.აფრიკის ერთ-ერთი უდიდესი ტბა
73. ქართული ფილმი „ჩვენი ...“
74. ქალაქი რუმინეთში
75. სახელმწიფოში შესვლის ნებართვა
76. სოფელი ონის რაიონში
77. აშშ-ის კოსმოსური სააგენტო
78. ცხენების ჯგოგი
79.სიმებიანი მომცრო მუსიკალური საკრავი
80. პიტალა კლდე
81. ადამიანის სამეტყველო ორგანო
82. ვესპუჩის სახელი
83. ცხელი ალკოჰოლური სასმელი
84. მზის საგალობელი რაჭაში
85. მუსიკალური გამის VII ნოტი

ფუტკრის ნაკბენმა სქესი შეუცვალა

აშშ-ს ოჰაიოს შტატში მცხოვრებ მამაკაცს ფუტკრის ნაკბენმა ცხოვრება რადიკალურად შეუცვალა — გამო ტედ პრონსის სხეულში გარკვეული პერიოდის განმავლობაში საოცარი ცვლილებები მოხდა — ორგანიზმში მკვეთრად დაეცა მამაკაცის ჰორმონის — ტესტოსტერონის დონე, კანი ნაზი გაუხდა, სხეულის ფორმებიც შეეცვალა და შედეგად ქალად გადაიქცა. სპეციალისტები აცხადებენ, რომ ფუტკრის ნაკბენმა იშვიათი გენეტიკური გადახრა — კლიანფელტერის სინდრომი გამოიწვია. ჩვეულებრივ, ეს დაავადება თანდაყოლილია, ხოლმე. ამ შემთხვევაში კი ის ფუტკრის შხამის „დამსახურებაა“. სქესის შეცვლას მამაკაცი დიდად არ დაუღონებია, პირიქით, შესაფერისად ჩაიცვა და სახელიც კი გადაირქვა. ცოლი აცხადებს, რომ კვლავ მის გვერდით იქნება და განქორწინებას არ აპირებს.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, მარიკა ლომიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.